საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტოის გაცანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

ხუთშაბათი, 11 მაისი. 2017 წ. №95 (8232), გამოცემის 99-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.

ორ კარში თამაში უმსაჯოდ,

ანუ ღაჭავა-კოდუების კლანი - „ქართუს“ „პარტნიორი“?

მხოლოდ ჩვენში შეიძლება, წაგებული დარჩეს სასამართლო დავის მომგები, მიუხედავად იმისა, რომ საქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, მოსარჩელემ (გურამ ახრახაძემ) მტკიცების ყველა გარემოება უტყუარად დაადასტურა! 11



„შენ სტუმარი ხარ დღეს ჩემი“...

3

დაზვერვა ასლან აბაშიძის საქართველოში ჩამოსვლის წინ

ტრაგედია ტყიბულში

მინისქვეშა სიკვდილის მინისზედა პოლიტიკური ჭირის-უფლება

მართლაც უსაშინლესი ტრაგედია დატრიალდა ტყიბულში, ვიღაც-ვიღაცების დაუდევრობის შედეგად შახტში, ათასი მეტრის სიღრმეში, ოთხი ქართველი ვაჟკაცი დაიღუპა. დაქვრივდნენ ახალგაზრდა ქალები, დაობლდნენ, უმამოდ დარჩნენ პატარა ქართველები.

მართალია, მეშახტეთა სიკვდილიანობა მთელ მსოფლიოში იშვიათობა არ არის, მაგრამ სხვათა სიკვდილი ჩვენთვის არც არავითარი შელავათია და არც არავითარი დამამშვიდებელი საშუალება.

ბუნებრივია, რომ ამ ოთხი ქართველი ადამიანის სიკვდილმა, როგორც იტყვიან, ააცრემლიანა მთელი საქართველო.

მაგრამ ისიც ბუნებრივია, რომ მარტო ცრემლი და ჭირისუფლობა ამ მძიმე ტრაგედიას ვერაფრით წაადგება. ვერ წაადგება აგრეთვე ამაო ქოთქოთი და ვიშვიში. მით უმეტეს, როცა ქვეყანაში არსებული, პირდაპირ უნდა ითქვას, შავი პოლიტიკური ძალები უმალ თავიანთი ბნელი მიზნებისთვის იყენებენ ყველა უბედურ შემთხვევას. და ეგრევე შრომის უსაფრთხოების კომისიის არარსებობით, ანუ ხელისუფლების უზრუნველობით ხსნიან სიკვდილიანობის თავისებურ გაჯეჯილებას.

რასაკვირველია, ხალხმა და, მით უფრო, ახალგაზრდობამ თავისი თამამი და მართალი სიტყვა უნდა თქვას ყოველი ასეთი შემთხვევის გამო. მაგრამ ბუნებრივ უბედურებას როცა კუდს აბამ და შენი დესტრუქციული ოპოზიციურობის გამჩვენეობისთვის აგანგაშებ, ცხადი ხდება, რომ შენ მთლად წმინდა წყლის ჭირისუფალი არა ხარ და შენს ნაძალადევ ცრემლში წყალი სჭარბობს. სწორედ ასეთ შთაბეჭდილებას ტოვებს ამ ბოლო დროს ჩვენი სტუდენტობის ზოგიერთი წარმომადგენელი და განსაკუთრებით მარადიული სტუდენტი ლევან ლორთქიფანიძე, რომელმაც, თითქმის მთლად დაიპყრო ქართული სატელევიზიო სივრცე და თავიც კი მოაბეზრა ჩვენს საზოგადოებას ნამეტანი ჭკუის დარიგებებითა და ნაძალადევი პოლიტიკური ჭირისუფლობით, რაც არცთუ იშვიათად, გულისამრევ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელსა და მსმენელზე..

აფხაზური საგარეო პოლიტიკის ნოუ-ჰაუ: 6

„სუვერენიტეტი - მთელი მსოფლიოსგან მალულად“?

„ჰელსიკორში“ სიკვდილს ამარცხებენ!

5

HELSICORE
ISRAELI GEORGIAN MEDICAL RESEARCH CLINIC



როცა წუთის სიცოცხლის ფასი აქვს...

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია ღრმა მწუხარებით აუწყებს მკითხველს, რომ გარდაიცვალა ჩვენი საზოგადოების ჭეშმარიტად ღირსეული წევრი, გამოჩენილი პოლიტიკური და საზოგადო მოღვაწე, ქართველი ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ქართული ენციკლოპედიის ერთ-ერთი ღვაწლმოსილი ამაგდარი, ჩვენი გაზეთის მუდამ სასურველი ავტორი და მეგობარი

ავთანდილ საყვარელიძე

საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ქართული ენციკლოპედიის დიდი მოამაგე, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, დიდებული პიროვნება

ავთანდილ საყვარელიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

მეუღლე ელენე სტურუა, ქალიშვილი მარიამი, ვაჟიშვილი პეტრე საყვარელიძეები, შვილიშვილები ავთანდილ, ირინე საყვარელიძეები, ელენე კაკაბაძე დიდი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ავთანდილ საყვარელიძე

გამოსვენება 11 V, 15 სთ. მის: სულხან ცინცაძის (ყოფილი საბურთალოს) 35.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების გამო, აშშ-მა ნაურუს დაფინანსება შეუწყვიტა

ამერიკის **შეერთებული შტატები ნაურუს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების გამო დაფინანსებას აღარ გამოუყოფს. ამის შესახებ ინფორმაციას ახალი ზელანდიის ერთ-ერთი ადგილობრივი მედიასაშუალება ავრცელებს.**

ცნობისთვის, ნაურუმ 2009 წელს საქართველოს ოკუპირებული რეგიონების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა.

შაბათს, 6 მაისს, დონალდ ტრამპმა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდამჭერ კანონს ხელი მოაწერა, რომლის მიხედვითაც, ამერიკის შეერთებული შტატების დაფინანსებით ვერ ისარგებლებს ვერცერთი ქვეყნის ცენტრალური მთავრობა, თუ მან აღიარა რუსეთის მიერ ოკუპირებული აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა, ან მათთან დაამყარა დიპლომატიური ურთიერთობები.

ყველა მუხლთან დაკავშირებით, ჩვენ გვაქვს წინსვლა, მხოლოდ პროგრესი!

ამის **შესახებ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ახალციხეში საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვაზე განაცხადა.**

მისი თქმით, იქმნება ძალიან დახვეწილი საპარლამენტო მმართველობის სისტემა, რომელიც სრულ შესაბამისობაშია კონსტიტუციის სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან.

„დღევანდელი დაუხვეწავი საპარლამენტო მმართველობა იცვლება დახვეწილი საპარლამენტო მმართველობის სისტემით. არც ერთი ნაბიჯი არ იდგმება უკან — ეს შეიძლება ითქვას როგორც კონსტიტუციის საერთო სულისკვეთებასთან დაკავშირებით, ასევე თითოეულ ნორმასთან დაკავშირებით. შეიძლება ითქვას, რომ ყველა მუხლთან მიმართებით ჩვენ გვაქვს წინსვლა, მხოლოდ პროგრესი. არც ერთ მუხლთან მიმართებით ნაბიჯი უკან არ იდგმება. ეს არის საერთო შედეგი იმ პროცესის, რომელიც წარიმართა სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიაში. ჩვენ ვფიქრობთ, რომ იქმნება ძალიან დახვეწილი საპარლამენტო მმართველობის სისტემა, რომელიც სრულ შესაბამისობაშია კონსტიტუციის სამართლის ფუნდამენტურ პრინციპებთან“, — განაცხადა კობახიძემ

ცოლ-ქმარი უსუფა და თინა პოლიტიკურ მოჩვენებითობასა და შაბლონში მაგრად გაინაფნენ!

ასე **გაგრძელება უბრალოდ დაუშვებელია, არა ზვიადის, ედუარდის, მიშას, გიორგის მიმართ, არამედ ქართული სახელმწიფოს მიმართ,** — განაცხადა, პარლამენტის ყოფილმა თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა.

მისი თქმით, არის გამოსავალი, ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული მოდელითვე, ერთი მხრივ, 2023 წლამდე ქვეყანას ეყოლება პირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტი. მეორე მხრივ, გათვალისწინებულია გარკვეულ შემთხვევებში კონსტიტუციური ცვლილებების ორი მოწვევის პარლამენტის მიერ მიღება.

„პრეზიდენტის ინსტიტუტი ვერა და ვერ ვაქციეთ იმად, რაც კონსტიტუციაში დიდი ასოებით გვიწერია — სახელმწიფოს ერთიანობის სიმბოლოდ და გარანტად. ასე გაგრძელება უბრალოდ დაუშვებელია არა ზვიადის, ედუარდის, მიშას, გიორგის მიმართ, არამედ ქართულ სახელმწიფოს მიმართ. ეს ერთნაირად უნდა გაითვალისწინონ მომავალმა ზვიად-გიორგებმაც და მთელმა საქართველომაც. შექმნილ ვითარებაში სწორედ ამის გაუთვალისწინებლობა იქნება „ოცნების“ მიერ გადაწყვეტილების ერთპიროვნულად მიღება. არის გამოსავალი. ხელისუფლების მიერ შემოთავაზებული მოდელითვე, ერთი მხრივ, 2023 წლამდე ქვეყანას ეყოლება პირდაპირი წესით არჩეული პრეზიდენტი. მეორე მხრივ, გათვალისწინებულია გარკვეულ შემთხვევებში კონსტიტუციური ცვლილებების ორი მოწვევის პარლამენტის მიერ მიღება. ამ ორი პოლიტიკური და სამართლებრივი მიდგომის ერთობლიობა (სათანადო ტექნიკური დამუშავების შემდეგ) იძლევა შესაძლებლობას 2023 წლის საპრეზიდენტო არჩევნების სისტემის საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილება მივანდოთ 2020 წელს არჩეულ პარლამენტს. ამ შემთხვევაში მინიმუმ 4 წლით ერთნაირად დაკმაყოფილდება დღეს არსებული ყველა მოთხოვნა და პოზიცია, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება დაეფუძნება ხალხის უმრავლესობის გადაწყვეტილებას, ვინაიდან 2020 წლის საარჩევნო კამპანიაში მონაწილე პოლიტიკური ძალები გვერდს ვერ აუვლიან ამ საკითხს“, — განაცხადა უსუფაშვილმა.

* * *

არ **შეიძლება კონსტიტუციაში იყოს დებულებები, რომელიც ერთმანეთს გამორიცხავს, ან ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა,** — ამის შესახებ თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა პრეზიდენტის სასახლეში, საკონსტიტუციო ცვლილებებისა და უსაფრთხოების საკითხებზე გამართულ კონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, ახალი კონსტიტუციის მოდელი იძლევა შესაძლებლობას, რომ ცუდი სახელმწიფო მმართველის ვითარებაში ახალი „მხედრიონი“ წარმოიქმნას.

„არ შეიძლება, კონსტიტუცია რომელიმე ადამიანზე მორგებით ან მის წინააღმდეგ იწერებოდეს. ჩვენ ვერ ვიქნებით იმის იმედად, რომ კეთილი ნების ადამიანები მოდიან ხელისუფლებაში და სულ კარგი და კეთილი სურვილები აქვთ. არ შეიძლება კონსტიტუციაში იყოს დებულებები, რომელიც ერთმანეთს გამორიცხავს, ან ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. როდესაც კონსტიტუციაში წერ, რომ შენ ხარ სამხედრო ძალები და სხვა შეიარაღებული ძალები, ამის შემდეგ განმარტავ, რომ სამხედრო ძალები რა არის და რა ვითარებაში გადაადგილდება და არც ერთ სიტყვას არ ამბობ, თუ რას ნიშნავს სხვა ძალები, აჩენ შანსს ცუდი მმართველის პირობებში ახალი „მხედრიონის“ გაჩენის“, — განაცხადა თინა ხიდაშელმა.

ეს არის წმინდა წყლის პოლიტიკური სპეკულაცია!

ეს **არის წმინდა წყლის პოლიტიკური სპეკულაცია,** — ასე უპასუხა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა არჩილ თალაკვაძემ თავდაცვის ყოფილი მინისტრის თინათინ ხიდაშელის განცხადებას, რომელმაც აღნიშნა, რომ ახალი კონსტიტუციის მოდელი იძლევა შესაძლებლობას, რომ ცუდი სახელმწიფო მმართველის ვითარებაში ახალი „მხედრიონი“ წარმოიქმნას.

მისი განცხადებით, ეს ჩანაწერი ეკუთვნის ნებისმიერ სხვა სახელმწიფო დანაყოფს, რომელიც არ შედის თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში.

„ეს **არის წმინდა წყლის პოლიტიკური სპეკულაცია და ეს არის ოპოზიციური პარტიის მიერ გავრცელებული მოსაზრება. რეალურად, ეს ჩანაწერი ეკუთვნის ნებისმიერ სხვა სახელმწიფო დანაყოფს, რომელიც არ შედის თავდაცვის სამინისტროს შემადგენლობაში. ეს ჩანაწერი სწორედ ამას არეგულირებს. რეალურად, ეს დანაყოფები დღესაც არსებობენ სხვადასხვა სამინისტროს დაქვემდებარებაში და კონსტიტუციაში ეს ჩანაწერი სწორედაც რომ აწესრიგებს საკითხს. ეს არის უსაფუძვლო პოლიტიკური სპეკულაცია“,** — განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

კონსტიტუციაში მოშლილია ორგანო, რომელიც თავდაცვისუნარიანობის მიმართულებით იმუშავებს!

ქვეყნის **მთავარ დოკუმენტში მოშლილია კონსტიტუციური ორგანო, რომელიც მოწოდებულია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის მიმართულებით სამუშოდ,** — ამის შესახებ საქართველოს პრეზიდენტმა საკონსტიტუციო ცვლილებებსა და უსაფრთხოების საკითხებთან დაკავშირებულ კონფერენციაზე განაცხადა, რომელიც პრეზიდენტის ადმინისტრაციაში იმართება.

პრეზიდენტის განცხადებით, ის ორგანო, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შეიარაღებული ძალების გაძლიერება, გამქრალია კონსტიტუციიდან და ჩანაცვლებულია თავდაცვის საბჭოთი, რომელიც მხოლოდ ომიანობის დროს ფუნქციონირებს.

„უშიშროების საბჭოს დიდი ხნის ისტორია გააჩნია, თუმცა ბოლო 4 წლის განმავლობაში განსჯის საგანი გახდა. თავიდანვე გადაიდგა ნაბიჯები, რომელიც, ჩემი აზრით, დაფუძნებული იყო უსაფრთხოების გარემოს საქართველოს წინაშე არსებული გამოწვევების ბოლომდე გაუაზრებლობასთან. თავიდანვე პოლიტიკური დამოკიდებულება საქართველოში უმნიშვნელოვანესი საკონსტიტუციო ინსტიტუტის — უშიშროების საბჭოს მიმართ გამოიხატებოდა როგორც საჯარო განცხადებებში, ასევე ღია ბოიკოტსა და იმ დამოკიდებულებაში, რომელიც გამოიხატა პარალელური სტრუქტურის — უსაფრთხოების საბჭოს შექმნის სახით. სამწუხაროდ, ბოლო პროექტი ნათლად აჩვენებს, რომ ქვეყნის მთავარ დოკუმენტში მოშლილია კონსტიტუციური ორგანო, რომელიც მოწოდებულია ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის მიმართულებით სამუშაოდ. ის ორგანო, რომელმაც უნდა უზრუნველყოს შეიარაღებული ძალების გაძლიერება, გამქრალია კონსტიტუციიდან და ჩანაცვლებულია თავდაცვის საბჭოთი, რომელიც მხოლოდ ომიანობის დროს ფუნქციონირებს“, — განაცხადა გიორგი მარგველაშვილმა.

ბათუმიდან გოდერძიმდე სეზონური ფრენები იწყება

მიდმინარე **წლის ბოლოდან ბათუმიდან კურორტ გოდერძიმდე სეზონური ფრენები იწყება. აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, ბათუმი-გოდერძის მიმართულებით სამარშრუტო ვერტმფრენი იმოძრავებს, რომელსაც მინიმუმ 6 ადამიანის გადაყვანა შეეძლება.**

კონკრეტულად თუ რომელი ავიაკომპანია მოემსახურება აღნიშნულ მარშრუტს, ცნობილი არ არის, რადგანაც სამინისტროს ინფორმაციით, მოლაპარაკებები ახლა იწყება.

თუმცა ცნობილია, რომ ფრენები ბიუჯეტიდან დაფინანსდება და 2017-2018 წლის ბიუჯეტიდან ამ მიზნით 300 000 ლარი დაიხარჯება.

ფრენები, სავარაუდოდ, 2017 წლის დეკემბრიდან დაიწყება და საკურორტო სეზონის დასრულებამდე (დაახლოებით 4 თვე) გასტანს.

დაზვერვა ასლან აბაშიძის საქართველოში ჩამოსვლის წინ

ლუჟკოვი სოხუმში, ლუჟკოვი ცხინვალში და ახლა უკვე ლუჟკოვი მცხეთის რაიონის სოფელ ქანდაში 13 ასურელი მამის მონასტერში, სადაც წირვა-ლოცვა ქართული ენის გარდა, ქრისტეს ენაზე, ანუ არამეულად აღევლინება.

მოსკოვის ყოფილი მერის (1992-2000 წლებში) იური ლუჟკოვის საქციელი მხოლოდ დღეს არ გამხდარა განსჯის საბაბი. ჯერ კიდევ 2006 წლის 20 ივლისს საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში დაიბარეს საქართველოში რუსეთის დროებითი რწმუნებული და საპროტესტო ნოტა გადასცეს სწორედ იური ლუჟკოვის აფხაზეთში ვიზიტის გამო თბილისთან შეუთანხმებლად.

ლუჟკოვის ფოტოგალერეას ამშვენებს 2002 წელს ბაღაფშთან ერთად გადაღებული ფოტო, ხოლო 2017 წელს სოფელ ქანდის 13 ასურელი მამის მონასტრის წინამძღვარ, არქიმანდრიტ სერაფიმე ბიტ-ხარიბთან გადაღებული ფოტო.

მას შემდეგ, რაც კითხვები გაჩნდა 80 წლის იური ლუჟკოვის საქართველოში შემოშვებასთან დაკავშირებით, არქიმანდრიტმა სერაფიმემ განმარტა, რომ ეკლესიის კარი ყველა ადამიანისთვის ღიაა, პოლიტიკოსი იქნება თუ გლეხი.

„ხალხო, მაინტერესებს, ჩვენთან ლუჟკოვის წირვაზე დასწრებაზე ამხელა აჟიოტაჟი რომ ატყდა, თურმე ის ყოფილა ოკუპანტი! ამ კაცს მე მივეცი ვიზა? მე მივანიჭე თბილისისა და ბათუმის საპატიო მოქალაქეობა? თუ შემოუშვეს ჩვენს ქვეყანაში და ადამიანი მოვიდა წირვაზე დასასწრებად, მეთქვა, წადი აქედან-მეთქი? ეკლესიაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე არავის მივცემ უფლებას, პოლიტიკაზე ილაპარაკოს, მაგრამ გაგდებით არც არავის გავაგდებ“, — წერს „ფეისბუქზე“ არქიმანდრიტი **სერაფიმე ბიტ-ხარიბი**.

2006-2009 წლებში ლუჟკოვის მიერ „ოკუპაციის კანონის დარღვევას“ ეხმიანება საპარლამენტო უმრავლესობის წევრი **გია ვოლსკი**. მისი თქმით, ლუჟკოვის პერსონა მას სხვადასხვა მოვლენით აგონდება. როდესაც იგი მოსკოვის მერი იყო — პუტინთან დაპირისპირებით, ხოლო უფრო ადრე სამოქალაქო ომით დანგრეული პირველი სკოლის რეაბილიტაციით.

შს მინისტრის მოადგილის შალვა ხუციშვილის თქმით, ლუჟკოვი საქართველოში შემოვიდა ლეგალურად ლეგალური საბუთით, სადაც არ იყო არანაირი მონაცემი მის მიერ „ოკუპირებული ტერიტორიის შესახებ კანონის“ დარღვევის თაობაზე.

საქართველოში პრობლემური სტუმრის შემოსვლას ექსპერტი უსაფრთხოების საკითხებში **ვახტანგ მაისაია** ასლან აბაშიძის ფაქტორს უკავშირებს. For.ge-სთან საუბარში იგი განმარტავს, რომ ლუჟკოვის ჩამოსვლა, ალბათ, ეს იყო დაზვერვა ასლან აბაშიძისთვის. მით უმეტეს, რომ ლუჟკოვი ყოველთვის გამოდიოდა პოლიტიკური მედიატორის როლში სხვადასხვა ძალებს შორის, რაც იური ლუჟკოვს ახასიათებს.

„დღეს ლუჟკოვი აქტიურ ოპოზიციაშია პუტინის მმართველობასთან. ის მოსკოვში არ ცხოვრობს, ლონდონში ბინადრობს, თუმცა კონტაქტები აქვს მოსკოვში მყოფ მეგობრებთან და, როგორც ჩანს, ეს არის ასლან აბაშიძის ჩამოსვლის წინა მოსამზადებელი საფუძველი. სწორედ ამან უნდა შეამზადოს აბაშიძის ჩასვლა აჭარაში. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ლუჟკოვი წარმოგზავნილი იყოს რუსეთის მიერ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის დასარეგულირებლად. როგორც კუჩმა გამოიყენა პეტრე პოროშენკომ მინსკის მოლაპარაკებების განსახორციელებლად, დაახლოებით იმავე როლს ასრულებს ლუჟკოვიც. თორემ არა მგონია, კუჩმას მშვიდი ურთიერთობა ჰქონოდა პოროშენკოს ხელისუფლებასთან. ლუჟკოვიც ფორმალურად ითვლება პუტინის მოწინააღმდეგე ბანაკში, მაგრამ არაფორმალურად მას კარგი ურთიერთობა აქვს რუსეთის ოფიციალურ პოლიტიკურ მმართველ წრეებთან. ამდენად, ეს კუჩმას ვარიანტის გადათამაშება მგონია“, — აღნიშნა ვახტანგ მაისაიამ და იქვე დასძინა, თუ ლუჟკოვმა ოკუპაციის შესახებ კანონი დაარღვია, ეწვია სოხუმსა და ცხინვალს, მაშინ კანონი ყველასთვის ერთი უნდა ყოფილიყო და ლუჟკოვის წინააღმდეგაც ამოქმედებულიყო.

ლუჟკოვის ვიზიტმა ანალიტიკოს **სოსო ზაალიშვილს** საერთაშორისო პრაქტიკიდან ერთი შემთხვევა გაახსენა ისრაელის პრემიერ-მინისტრი ცხაკ რაბინის ცხოვრებიდან, რომელიც მოგვიანებით ებრაელმა ტერორისტმა მოკლა. 1993 წელს იცხაკ რაბინი იყო პირველი, ვინც პალესტინის გათავისუფლების ფრონტის ხელმძღვანელ იასირ არაფატს შეხვდა. მას შემდეგ ისრაელის პრემიერ-მინისტრები ხვდებიან პალესტინის ე.წ. პრეზიდენტ მაჰმუდ აბასს, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს კანონი, რომლის თანახმადაც, ისრაელის მოქალაქეს არ აქვს უფლება, რაიმე სახის კონტაქტი დაამყაროს ან შეხვდეს ტერორისტული ორგანიზაციის წევრს. ამ დროს „ჰამასი“ და პალესტინის გათავისუფლების არმია — „ფათხი“ მიჩნეულია ტერორისტულ ორგანიზაციებად ისრაელში.

„ზოგჯერ ისეთი პოლიტიკური მდგომარეობაა, როდესაც აკრძალვების მიუხედავად, მოლაპარაკებების წარმოება არაოფიციალურ ვითარებაში შესაძლებლია. არ ვიცი, ლუჟკოვის ჩამოსვლა ეს შემთხვევაა თუ არა, მაგრამ მსოფლიო დიპლომატიაში, დასავლურ დიპლომატიაში, ასეთი გამონაკლისი შემთხვევები არსებობს“, — აღნიშნა For.ge-სთან საუბარში სოსო ზაალიშვილმა.

იურისტი **ლევან ალაფიშვილი** ჩვენთან საუბრისას აცხადებს, რომ რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, 2008 წელს მიღებულია კანონი ოკუპაციის შესახებ და ყველა ქმედებას, დაკავშირებულს ოკუპირებულ ტერიტორიასთან, დაერქვა ერთადერთი სახელი — „კანონსაწინააღმდეგო ქმედება“. მათ შორის, ეს ქმედება მოიცავს უკანონოდ საზღვრის გადაკვეთას იმ წერტილებში, რომელიც ჩვენს ცენტრალურ ხელისუფლებას აქვს განსაზღვრული, ან უკანონო საქმიანობას, მათ შორის, სამეწარმეო თუ სხვაგვარ საქმიანობას, რაც კანონით აკრძალულია. შესაბამისად, **სახელმწიფოს ამოცანაა კანონის დაცვის უზრუნველყოფა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს შეიძლება სახიფათო პრეცედენტად იქცეს არა მხოლოდ დანარჩენი უცხოელებისთვის, რომლებიც უყურებენ კანონის დარღვევის ფაქტებს, არამედ თვით საქართველოს მოქალაქეებისთვისაც.**

„პირველ რიგში, ხელისუფლება საკუთარ მოქალაქეებს უნდა უჩვენებდეს კანონისადმი პატივისცემას და მისი დაცვის ვალდებულებას. წინააღმდეგ შემთხვევაში, მოქალაქე იტყვის, თვითონ მთავრობა არ იცავს და მე რატომ დავიცვა კანონიო?! აქედან კი ქაოსამდე და დეინსტიტუციონალიზაციამდე ერთი ნაბიჯია. ამიტომ შესაბამისმა ორგანოებმა უნდა აწარმოონ გამოძიება და ოკუპირებული ტერიტორიების შესახებ კანონის დარღვევის ფაქტს მისცენ შეფასება, თუ რატომ არ მოხდა მასზე სრული რეაგირება“, — აცხადებს ლევან ალაფიშვილი.

მანანა ნოზაძე

„საქნახშირი“ სრულმზად ყოფნას გამოთქვამს, ითანამშრომლოს გამოძიებასთან

ამის შესახებ კომპანია „საქნახშირის“ მიერ ტყიბულის მინდელის სახელობის შახტში მომხდარ უბედურ შემთხვევასთან დაკავშირებით გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

როგორც განცხადებაში ხაზგასმულია, კომპანიას მიაჩნია, რომ გამოძიების დასრულებამდე და ტრაგედიის გამომწვევი რეალური მიზეზების დადგენამდე არ უნდა მოხდეს ამ თემით სპეკულირება.

„მიუხედავად კომპანის ძალისხმევისა, ზედმიწევნით შესრულდეს შრომის უსაფრთხოების ნორმები, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, სამწუხაროდ, ტრაგედიის თავიდან აცილება ვერ მოხერხდა. შექმნილია მოკვლევის ჯგუფი, მიმდინარეობს საგამოძიებო ღონისძიებები, რომელიც დაადგენს ამ ტრაგიკული შემთხვევის გამომწვევ მიზეზებს. კომპანიას მიაჩნია, რომ გამოძიების დასრულებამდე და ტრაგედიის გამომწვევი რეალური მიზეზების დადგენამდე არ უნდა მოხდეს ამ თემით სპეკულირება. თავის მხრივ, „საქნახშირი“ სრულ მზადყოფნას გამოთქვამს, ითანამშრომლოს გამოძიებასთან და ხელი შეუწყოს პროცესის გამჭვირვალედ წარმართვას. კიდევ ერთხელ გულწრფელად გამოვხატავთ თანაგრძნობას ამ მძიმე ადამიანური ტრაგედიის გამო. კომპანია გვერდით უდგას დაღუპული მეშახტეების ოჯახებს და მათ ახლობლებს“, — ნათქვამია განცხადებაში.

შრომის ინსპექციის არსებობის შემთხვევაში, ავიცილებდით კი ტყიბულის ტრაგედიას?

ძალიან ძნელია ჩამოაყალიბო პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ შრომის ინსპექციის არსებობის შემთხვევაში, შეიძლება თავიდან აგვეცილებინა ტრაგედია, — ამის შესახებ პარლამენტის ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარემ აკაკი ზოიძემ ტყიბულის შახტში მომხდარ უბედურ შემთხვევაზე კომენტირებისას ჟურნალისტებს განუცხადა. მისი განცხადებით, გასაგებია, რომ დაღუპულთა ან დაზიანებულთა ოჯახებს ურჩევნიათ კომპენსაციის მიღება, მაგრამ ამის გამო პრევენციული ფუნქცია აღარ გააჩნია სასამართლოს, რადგან შიში აღარ არის ციხეში წასვლისა.

„ძალიან ძნელია ჩამოაყალიბო პოზიცია იმასთან დაკავშირებით, რომ შრომიის ინსპექციის არსებობის შემთხვევაში, შეიძლება, თავიდან აგვეცილებინა ტრაგედია. დამერწმუნეთ, შრომის ინსპექცია არ არის პანაცეა. თვითონ შრომის უსაფრთხოების სისტემა არის მრავალეშელონიანი სისტემა და მხოლოდ შრომის ინსპექცია ვერაფერს გააკეთებს, თუ არ იმუშავეს კომპანიის უსაფრთხოების სისტემამ, ტექნიკური ზედამხედველობის ინსპექციამ და სხვა უწყებებმა, მათ შორის თვითონ სასამართლო სისტემამაც. აქ არის მთელი პროცესი. 240-ე მუხლით სისხლის სამართლის საქმეებიდან, ბოლო 4 წლის განმავლობაში 260 საქმე აღიძრა. აქედან 60 დასრულდა გამამტყუნებელი განაჩენით, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში არ ყოფილა გამოყენებული საპატიმრო სანქცია, მიუხედავად იმისა, რომ ეს მუხლი ამას ითვალისწინებს. შეეფარდათ მხოლოდ პირობითი სასჯელი ან დაეკისრათ კომპენსაცია. გასაგებია, რომ დაღუპულთა ან დაზიანებულთა ოჯახებს ურჩევნიათ კომპენსაციის მიღება, მაგრამ ამის გამო პრევენციული ფუნქცია აღარ გააჩნია სასამართლოს, რადგან შიში აღარ არის ციხეში წასვლისა“, — განაცხადა ზოიძემ.

10 მილიარდამდე ლარი მხოლოდ ინფრასტრუქტურაში უნდა დაიხარჯოს და ამ ტიპის ტენდერში ვინც მონაწილეობს, მათთვის უნდა იყოს მოთხოვნილი შრომის უსაფრთხოების სტანდარტების გაზრდა.

არ არის სწორი, სახალხო დამცველმა ვინმეს მკვლელი უწოდოს!

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ანრი ოხანაშვილი უჩა ნანუაშვილს მინდელის შახტაში მომხდარ ტრაგედიაზე მკვეთრი გაცხადების გაკეთების გამო აკრტიკებს.

„ამიტომ, ეს ყველაფერი გამოძიებამ უნდა დაადგინოს. არ არის სწორი, სახალო დამცველმა ვინმეს მკვლელი უწოდოს, როცა სწორედ მან თითოეული ადამიანი უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევისგან უნდა დაიცვას. სახალხო დამცველი მკვლელს უწოდებს იმ ადამიანებს — არ ვიცი, პარლამენტის წევრებს, მთავრობას, ყველას. სახალხო დამცველის პოზიციიდან გაკეთებული განცხადება არაკორექტულია. რა თქმა უნდა, სახალხო დამცველს აქვს უფლება დააფიქსიროს, რომ შეშფოთებულია მომხდართან დაკავშირებით და ვინმეს კიდევ ერთხელ მოუწოდოს, მაგრამ სახალხო დამცველი, რომელმაც საზოგადოების, თითოეული ჩვენგანის უფლება უნდა დაიცვას, ვინმეს მკვლელს არ უნდა უწოდებდეს. ეს ძალიან არაპროფესიონალური, არაკორექტული შეფასებაა. სახალხო დამცველის მხრიდან ასე პოზიციის დაფიქსირება ძალიან ცუდია“, — განაცხადა ოხანაშვილმა.

ეს ძალიან, ძალიან საგანგაშოა!

დიდ იმედებს ვამყარებდით იმაზე, რომ პარლამენტს უმოკლეს დროში თბილისში გადმოიტანდნენ, მაგრამ ეს მეტად უმნიშვნელოვანესი პრობლემა კვლავ მოუგვარებელი რჩება.

– გასული წლის 28 ოქტომბრის ,,საქართველოს რესპუბლიკაში" დაიბეჭდა ქუთაისელი მოქალაქის – როსტომ შვანგირაძის წერილი: **„ქუთათურებო, წერეთელი, ბობოხიძე და თევდორაძე პოლიტიკიდან უნდა წავიდნენ"**. ეს იყო შინაგანი არსიდან ამოხეთქილი წუხილი იმაზე, რომ ზოგი მისი თანამემამულე ვერ აცნობიერებს რეალობას, – სამშობლოზე წინ პირადულს აყენებს და აქედან გამომდინარე, ქუთაისში პარლამენტის დარჩენას მხარს უჭერს. ეს წერილი დიდი პატრიოტული სულისკვეთებით არის დაწერილი და მას ბევრს ვერაფერს დავუმატებდი, ამიტომ მსურს სიტყვასიტყვით იგივე გავიმეორო; იგივეს ვთხოვ რედაქციას და კვლავ დაბეჭდოს შეუმოკლებლად ხსენებული წერილი. ჭკუამოკლეთათვის ბევრჯერ არის საჭირო განმეორება, თუნდაც მარტივად გასაგები ჭეშმარიტება გაიგონ.

სტატიაში გამოთქმული მოსაზრების განმტკიცების მიზნით მაგალითად მოვიყვან ყაზახების ბრძნულ გადაწყვეტილებას, რაც აღმოსავლეთიდან დედაქალაქის ქვეყნის უკიდურეს ჩრდილოეთში გადატანაში მდგომარეობს. ალმა-ათა გარსშემორტყმულია მაღალი მთებით, მის გარშემოც ყაზახები სახლობენ, ხოლო ჩრდილოეთით, საერთოდ, ყაზახური მოსახლეობა არც არსებობდა. დემოგრაფიული პრობლემის მოგვარების მიზნით, დედაქალაქი გადაიტანეს უკიდურეს ჩრდილოეთში და მას ასტანა უწოდეს. ამჟამად თითქმის ერთმილიონიანი ასტანის მოსახლეობის აბსოლიტური უმრავლესობა ყაზახია, შემოგარენშიც ისინი სახლობენ. საერთოდ, ასეა ყველა ქვეყანაში, დედაქალაქში და მის შემოგარენში თავს იყრის მკვიდრი მოსახლეობა.

თბილისს დაარსების დღიდან ამ მხრივ ძლიერ უჭირდა – მისი შემოგარენი უცხოტომელებით იყო დასახლებული. გორგასალს ამ ტერიტორიაზე დედაქალაქი რომ არ დაეარსებინა, დღეს შეიძლება აქ ერთ ქართველსაც არ ეცხოვრა. ეს ყველამ უნდა გააცნობიეროს! ქუთაისი კი, მოგეხსენებათ, ამ მხრივ უპრობლემოა.

ამის შემდეგ ქართველი პროფესორი გამოდის და გვიმტკიცებს, რომ ფინანსურად არცთუ ისე წამგებიანია ქუთაისში პარლამენტის ყოფნა. ასეთ პროფესორზე დაწყებითი განათლების მოწმობაც კი არ უნდა გაიცეს... გაიგეთ, თქვე ქათმისტვინიანებო, აქ ფინანსებზე კი არ უნდა იყოს ლაპარაკი, არამედ, იმაზე, რაზეც ერთ-ერთმა ქუთაისელმა რიგითმა მოქალაქემ – შვანგირაძემ ეროვნულ ფაქტორს მიაქცია უმთავრესი ყურადღება.

გასაგებია, ნაცებს ეროვნულად აზროვნება ატროფირებული აქვთ, პატრიოტული გრძნობები კი სრულიად გამქრალი და ასეთ მდგომარეობაში ისინი რას იტყვიან, არაფრად ჩასაგდებია, მაგრამ.... ჰოი, საოცრებავ! თურმე „ოცნებაც" დასთანხმებია ქუთაისში პარლამენტის დატოვებას. ამის შემდეგ ჩვენ ისღა დაგვრჩენია ქართველ ხალხს შევძახოთ:

განგაშის ზარები შემოვკრათ, თანამემამულენო!!!

ონისე მწარიაშვილი

ქუთათურებო, წერეთელი, ბობოხიძე და თევდორაძე პოლიტიკიდან უნდა წავიდნენ!

ეს ძალიან, ძალიან საგანგაშოა!

მისაბაძი მაგალითი იყო, როდესაც საქართველოს ინტელიგენციამ განგაშის ზარები შემოჰკრა იმის გამო, რომ საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში, რომელსაც ქვეყნის ძლიერებაში მრავალჯერ მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანია, ამჯერად საშუალება მისცეს ქვეყნის დამაქცევრებს, გამყიდველებს, ქართველმოძულე ეგრეთ წოდებულ ნაცებს საპარლამენტო არჩევნებში თუნდაც მცირე წარმატებისთვის მიეღწია. ხსენებული კუთხის ინტელიგენტები ასე მოძღვრავდნენ მეგრელებს – თუ ნაცებმა, კერძოდ, რულოვსიმ ზუგდიდში გარკვეული ოდენობის ხმები მიიღო, ამ შავ ლაქას ძნელად ჩამოვირეცხავთო.

ასეთივე მოწოდება უნდა გაეკეთებინა საქართველოს თითოეული კუთხის ინტელიგენტს და შედეგად პირველ ტურშივე 21-ე საუკუნის ეს კანიბალები საბოლოოდ გაიყრებოდნენ პოლიტიკური სარბიელიდან.

მე არც მწერალი და არც პოლიტოლოგი ვარ, რომ იტყვიან, გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო, – ასეა ჩემი საქმე... რომ დავინახე, ქუთაისის ინტელიგენცია პასიურობდა, იძულებული გავხდი, კალამი ხელში ამეღო და თანამოქალაქეებისადმი მიმემართა. თუმცა რა პოლიტოლოგობა და თეორეტიკოსობა უნდა ჩვენ თვალწინ მიმდინარე პროცესებს? – საჭიროა მხოლოდ მიუკერძოებლობა და მოვლენების სწორი ანალიზის უნარი. ნუთუ, ჩემო ქუთაისელებო, ნათელი არ უნდა იყოს სააკაშვილისა და მისი თანამოსაქმეების ანტისახელმწიფოებრივი ქმედებანი? – რაც გამოიხატებოდა ქართული მიწების და სტრატეგიული ობიექტების გაყიდვაში, ქვეყნის ინტერესების უგულებელყოფაში, იმგვარი პროვოკაციების მოწყობაში, რამაც ქვეყანა ვეებერთელა რუსეთს დააპირისპირა. შედეგად საქართველო კატასტროფის წინაშე დადგა. თვით ბუშმაც კი, რომელიც სააკაშვილის მხარდამჭერად მოიაზრება, საჯაროდ განაცხადა: რუსეთმა არაპროპორციულად დასაჯა საქართველო. ამ გამონათქვამიდან ნათლად ჩანს, რომ ბუში ომის დაწყებაში სააკაშვილს ადანაშაულებს. ამ გამონათქვამის ქვეტექსტი ასეთია: სააკაშვილის მიერ ომის დაწყებისთვის საქართველო ერთ-ერთი მოთხოვნა იყო თბილისიდან პარლამენტის ქუთაისში გადატანა, რასაც სამკვდრო-სასიცოცხლო ომი მოჰყვა. საბედნიეროდ, ამ ომში საქართველომ გაიმარჯვა და პარლამენტი თბილისში დარჩა. ავადსახსენებელმა სააკაშვილმა უომრად პარლამენტი თბილისიდან ქუთაისში გადაიტანა და ამით არაკეთილმოსურნეები დიდად გაახარა. პარლამენტის ეს მონაცვლეობა ეროვნული დანაშაულია და ამის განმხორციელებლებს სასჯელის უმაღლესი ზომა ეკუთვნით. თბილისი არ უნდა დაცარიელდეს სადედაქალაქო ატრიბუტებისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაკარგავს თავის ფუნქციას და უცხო ტომელების სათარეშო ქალაქად გადაიქცევა. ქუთაისს ამის საჭიროება არა აქვს, ვინაიდან იგი გარშემორტყმულია საკმაოდ ფართო ზოლით, სადაც მხოლოდ ქართველებია დასახლებული.

ზოგი ქუთაისელი რამდენიმე ათეული ბინის გაქირავებას ანაცვალებს ქვეყნის ინტერესებს – პარლამენტი თბილისში არ დააბრუნოთ, თორემ „ოცნებას" ხმას არ მივცემო. რა დაერქვას ამგვარ მიდგომას, დაე, მკითხველმა გამოძებნოს სახელი. მით უმეტეს, იმ დროს, როდესაც ბატონი ბიძინა ივანიშვილი ქუთაისელებს პირდება, რომ მათ ქალაქს გადაიქცევს საუნივერსიტეტო ცენტრად, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ერის განათლების საქმეში. ეს საგანმანათლებლო კომპლექსი მსოფლიო მასშტაბითაც თვალსაჩინო იქნება.

ახლა, სასწორის ერთ თეფშზე დავდოთ რამდენიმე ათეული ბინის გაქირავების შედეგად მიღებული თანხა, მეორეზე კი – ქვეყნის ინტერესები და ქუთაისის გადაქცევა მსხვილი მასშტაბის საგანმანათლებლო ქალაქად. ვფიქრობ, ასეთი შედარებაც კი მიუღებელი, დამამცირებელი უნდა იყოს ჭეშმარიტი ქუთაისელისთვის. ასე თუ არის, მაშინ 30 ოქტომბერს ზემოხსენებული მარიონეტები: წერეთელი, ბობოხიძე და თევდორაძე სრულიად გაწბილებული უნდა გამოეშვათ ქუთასისიდან. წერეთელი დიდი სიამოვნებით მიატოვებდა საკაშვილს, მაგრამ ძალიან ეუხერხულება კიდევ ერთი პარტიის დატოვება და სხვაგან გადაბარგება. დაიღალა ეს კაცი აქეთ-იქით „ხტომიალით" – შევიბრალოთ, გემუდარებით. ვხუმრობ, თორემ რა შესაბრალისები არიან თავისი კუთხის შემარცხვენლები, ერის ინტერესების უგულებელმყოფელი არსებანი, რომელთა ინტერესები პირადულზე (რბილად ნათქვამია) გადის.

სამწუხაროდ, ჩემს ქალაქს ვერ დავეხმარები ზემოხსენებული ინდივიდების პოლიტიკიდან განდევნის საქმეში, ვინაიდან ბოლო ათი წელი, სამსახურის გამო, რუსთავში მიწევს ცხოვრება, მაგრამ იმედი მაქვს, ქუთათურები საბაბს არ მისცემენ მავანთ, აუგად მოიხსენიონ ჩემი მშობლიური ქალაქი ნაცებისთვის მხარდაჭერის გამო.

როსტომ შვანგირაძე,
დამსახურებული ინჟინერი

მკითხველი მოითხოვს!

№201. პარასკევი, 28 ოქტომბერი, 2016 წელი.

ქუთათურებო, წერეთელი, ბობოხიძე და თევდორაძე პოლიტიკიდან უნდა განდევნოთ!

მისაბაძი მაგალითი იყო, როდესაც საქართველოს ინტელიგენციამ განგაშის ზარები შემოჰკრა იმის გამო, რომ საქართველოს ამ ძირძველ კუთხეში, რომელსაც ქვეყნის ძლიერებაში მრავალჯერ მნიშვნელოვანი წვლილი შეუტანია, ამჯერად საშუალება მისცეს ქვეყნის დამაქცევრებს, გამყიდველებს, ქართველმოძულე ეგრეთ წოდებულ ნაცებს საპარლამენტო არჩევნებში თუნდაც მცირე წარმატებისთვის მიეღწია. ხსენებული კუთხის ინტელიგენტები ასე მოძღვრავდნენ მეგრელებს – თუ ნაცებმა, კერძოდ, რულოვსიმ ზუგდიდში გარკვეული ოდენობის ხმები მიიღო, ამ შავ ლაქას ძნელად ჩამოვირეცხავთო.

ასეთივე მოწოდება უნდა გაეკეთებინა საქართველოს თითოეული კუთხის ინტელიგენტს და შედეგად პირველ ტურშივე 21-ე საუკუნის ეს კანიბალები საბოლოოდ გაიყრებოდნენ პოლიტიკური სარბიელიდან.

მე არც მწერალი და არც პოლიტოლოგი ვარ, რომ იტყვიან, გაჭირვება მიჩვენე და გაქცევას გიჩვენებო, – ასეა ჩემი საქმე... რომ დავინახე, ქუთაისის ინტელიგენცია პასიურობდა, იძულებული გავხდი, კალამი ხელში ამეღო და თანამოქალაქეებისადმი მიმემართა. თუმცა რა პოლიტოლოგობა და თეორეტიკოსობა უნდა ჩვენ თვალწინ მიმდინარე პროცესებს? – საჭიროა მხოლოდ მიუკერძოებლობა და მოვლენების სწორი ანალიზის უნარი. ნუთუ, ჩემო ქუთაისელებო, ნათელი არ უნდა იყოს სააკაშვილისა და მისი თანამოსაქმეების ანტისახელმწიფოებრივი ქმედებანი? – რაც გამოიხატებოდა ქართული მიწების და სტრატეგიული ობიექტების გაყიდვაში, ქვეყნის ინტერესების უგულებელყოფაში, იმგვარი პროვოკაციების მოწყობაში, რამაც ქვეყანა ვეებერთელა რუსეთს დააპირისპირა. შედეგად საქართველო კატასტროფის წინაშე დადგა. თვით ბუშმაც კი, რომელიც სააკაშვილის მხარდამჭერად მოიაზრება, საჯაროდ განაცხადა: რუსეთმა არაპროპორციულად დასაჯა საქართველო. ამ გამონათქვამიდან ნათლად ჩანს, რომ ბუში ომის დაწყებაში სააკაშვილს ადანაშაულებს. ამ გამონათქვამის ქვეტექსტი ასეთია: სააკაშვილის მიერ ომის დაწყებისთვის საქართველო ერთ-ერთი მოთხოვნა იყო თბილისიდან პარლამენტის ქუთაისში გადატანა, რასაც სამკვდრო-სასიცოცხლო ომი მოჰყვა. საბედნიეროდ, ამ ომში საქართველომ გაიმარჯვა და პარლამენტი თბილისში დარჩა. ავადსახსენებელმა სააკაშვილმა უომრად პარლამენტი თბილისიდან ქუთაისში გადაიტანა და ამით არაკეთილმოსურნეები დიდად გაახარა. პარლამენტის ეს მონაცვლეობა ეროვნული დანაშაულია და ამის განმხორციელებლებს სასჯელის უმაღლესი ზომა ეკუთვნით. თბილისი არ უნდა დაცარიელდეს სადედაქალაქო ატრიბუტებისაგან, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი დაკარგავს თავის ფუნქციას და უცხო ტომელების სათარეშო ქალაქად გადაიქცევა. ქუთაისს ამის საჭიროება არა აქვს, ვინაიდან იგი გარშემორტყმულია საკმაოდ ფართო ზოლით, სადაც მხოლოდ ქართველებია დასახლებული.

ზოგი ქუთაისელი რამდენიმე ათეული ბინის გაქირავებას ანაცვალებს ქვეყნის ინტერესებს – პარლამენტი თბილისში არ დააბრუნოთ, თორემ „ოცნებას" ხმას არ მივცემო. რა დაერქვას ამგვარ მიდგომას, დაე, მკითხველმა გამოძებნოს სახელი. მით უმეტეს, იმ დროს, როდესაც ბატონი ბიძინა ივანიშვილი ქუთაისელებს პირდება, რომ მათ ქალაქს გადაიქცევს საუნივერსიტეტო ცენტრად, რაც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ერის განათლების საქმეში. ეს საგანმანათლებლო კომპლექსი მსოფლიო მასშტაბითაც თვალსაჩინო იქნება.

ახლა, სასწორის ერთ თეფშზე დავდოთ რამდენიმე ათეული ბინის გაქირავების შედეგად მიღებული თანხა, მეორეზე კი – ქვეყნის ინტერესები და ქუთაისის გადაქცევა მსხვილი მასშტაბის საგანმანათლებლო ქალაქად. ვფიქრობ, ასეთი შედარებაც კი მიუღებელი, დამამცირებელი უნდა იყოს ჭეშმარიტი ქუთაისელისთვის. ასე თუ არის, მაშინ 30 ოქტომბერს ზემოხსენებული მარიონეტები: წერეთელი, ბობოხიძე და თევდორაძე სრულიად გაწბილებული უნდა გამოეშვათ ქუთასისიდან. წერეთელი დიდი სიამოვნებით მიატოვებდა საკაშვილს, მაგრამ ძალიან ეუხერხულება კიდევ ერთი პარტიის დატოვება და სხვაგან გადაბარგება. დაიღალა ეს კაცი აქეთ-იქით „ხტომიალით" – შევიბრალოთ, გემუდარებით. ვხუმრობ, თორემ რა შესაბრალისები არიან თავისი კუთხის შემარცხვენლები, ერის ინტერესების უგულებელმყოფელი არსებანი, რომელთა ინტერესები პირადულზე (რბილად ნათქვამია) გადის.

სამწუხაროდ, ჩემს ქალაქს ვერ დავეხმარები ზემოხსენებული ინდივიდების პოლიტიკიდან განდევნის საქმეში, ვინაიდან ბოლო ათი წელი, სამსახურის გამო, რუსთავში მიწევს ცხოვრება, მაგრამ იმედი მაქვს, ქუთათურები საბაბს არ მისცემენ მავანთ, აუგად მოიხსენიონ ჩემი მშობლიური ქალაქი ნაცებისთვის მხარდაჭერის გამო.

როსტომ შვანგირაძე,
დამსახურებული ინჟინერი

„ბათუმის ესტაკადის" მშენებლობა იწყება

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს ინფორმაციით, 2017 წელის ბოლომდე „ბათუმის ესტაკადის" მშენებლობა დაიწყება, რომლის ბიუჯეტიც 21 მლნ ლარია.

სამინისტროში აცხადებენ, რომ პროექტი ჯერ კიდევ მუშავდება და მისი სრულყოფის შემდეგ, ესტაკადის მშენებლობისთვის შესაბამისი ტენდერი გამოცხადდება. წინასწარი გათვლებით, მშენებლობა 2018 წლის ბოლომდე უნდა დასრულდეს და ამ მიზნით გამოყოფილი 21 მლნ ლარიდან უმეტესობა - 16 მლნ ლარი სწორედ 2018 წელს დაიხარჯება.

ესტაკადა 2-2-ზოლიანი იქნება. წინასწარი გათვლებით მისი სიგანე 18,3 მ-ს, ხოლო სიგრძე 0,9 კმ-ს გაუტოლდება. ესტაკადაზე ავტომობილების სავალი ნაწილის გარდა ველობილიკი და ტროტუარი განთავსდება.

აღსანიშნავია, რომ ბათუმის პორტის მიმდებარედ ესტაკადის აშენება ქალაქში მოძრაობას განტვირთავს.

„ჰელსიკორში“ სიკვდილს ამარცხებენ!

ბოლო პერიოდში ისრაელ-საქართველოს კარდიოლოგიისა და ანგიოლოგიის ცენტრი „ჰელსიკორი“ ჩატარებული უნიკალური ოპერაციებით ნამდვილად გვაოცებს. დღეს ორ უპრეცედენტო შემთხვევაზე მოგიყვებით.

2017 წლის 16 მარტი ქართული მედიცინის ისტორიაში ნამდვილად ოქროს ასოებით ჩაიწერება. „ჰელსიკორის“ ექიმებმა უპრეცედენტო ოპერაცია ჩაატარეს და ერთდროულად ორი სიცოცხლე გადაარჩინეს.



ნოდარ ემუხვარი, ირაკლი გოგოხია, ლევან ქარაზანიშვილი

არიელ ფინკერშტეინი (მარცხნივ), ირაკლი გოგორიშვილი

როცა წუთის სიცოცხლის ფასი აქვს...

34 კვირის ორსული, 37 წლის ქალბატონი (ახალციხის რაიონიდან) არასამშობიარო ტკივილებით ღუდუშაურის კლინიკაში მიიყვანეს. კლინიკის პროფესიონალთა გუნდმა ორსულ ქალს აორტის ანევრიზმის დიაგნოზი დაუდგინა, ისინი მყისიერად დაუკავშირდნენ წამყვან კარდიოლოგიურ კლინიკა „ჰელსიკორს“.

გაერთიანებული ექიმების გუნდმა მიიღო გადწყვეტილება, რომ პაციენტი სასწრაფოდ „ჰელსიკორში“ გადაეყვანათ. ღუდუშაურის კლინიკის გინეკოლოგთა გუნდიც თან გაჰყვა უმძიმეს მდგომარეობაში მყოფ ქალბატონს.

თავდაპირველად დაინიშნა საკეისრო კვეთა, რომელიც ღუდუშაურის სახელობის კლინიკის გინეკოლოგმა, ქალბატონმა ნატა ფირცხალავამ წარმატებით დაასრულა. პატარა გოგონა გადარჩა, მაგრამ ახლა მისი დედის სიცოცხლის შესანარჩუნებლად იწყებოდა ნამდვილი ბრძოლა.

განშრევებული იყო მთლიანად აორტა, გულის კარი და დაღმავალი აორტაც. ასეთ კრიტიკულ მომენტში ვირტუოზმა კარდიო-ქირურგმა ლევან ქარაზანიშვილმა ისიც კი მოახერხა, რომ პაციენტისთვის აორტის სარქველი შეენარჩუნებინა – ახალგაზრდა ქალბატონი მექანიკურ სარქველს გადაურჩა.

მდგომარეობა იმდენად რთული იყო, რომ დედის გადარჩენის შანსი 1 პროცენტს არ აღემატებოდა. აორტა სამი შრისგან შედგება, როდესაც განშრევება ხდება, ეს ახალი განშრევებული ქსოვილები ქაღალდს ემსგავსება და შეხებისთანავე იფლითება, ასეთ დროს ავადმყოფი ხშირად სისხლისდენით იღუპება. წარმოდგენაც კი შეუძლებელია, თუ რამხელა ძალისხმევა დასჭირდათ ექიმებს, მსგავსი სირთულის ოპერაციის წარმატებით დაგვირგვინებისთვის.

როდესაც ასეთი მძიმე ოპერაცია კეთდება, პაციენტის სიცოცხლე პირდაპირ კავშირშია ანესთეზიოლოგის გამოცდილებასა და პროფესიონალიზმთან. ირაკლი გოგოხია „ჰელსიკორის“ ანესთეზიოლოგ-რეანიმატოლოგი, გამოცდილი სპეციალისტია, რომელიც 11 საათის განმავლობაში, სხვა ექიმებთან ერთად იბრძოდა ორი სიცოცხლის გადარჩენისთვის.

მსგავსი პრეცედენტი, ერთდროულად ჩატარებული ორი წამყვანი კლინიკის ექიმების მონაწილეობით, ქართულ მედიცინაში ჯერ არ მომხდარა. ყველაზე მნიშვნელოვანი ის გახლავთ, რომ დედა-შვილის გადასარჩენად ექიმებს, მართლაც რომ ჯადოქრობა დასჭირდათ... და როცა ასეთი პროფესიონალების გუნდი იბრძვის შენი სიცოცხლის გადასარჩენად, სიკვდილიც ფარ-ხმალს ჰყრის.

„ჰელსიკორის“ კარდიოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელმა, პროფესორმა ნოდარ ემუხვარმა რიგითი ჟურნალისტისთვის გასაგებ ენაზე დეტალურად ამიხსნა მთელი ამ ოპერაციის სირთულეები. ვისმენდი ბატონი ლევანისა და ირაკლის თავდადების ამბებს და ვფიქრობდი, თუ როგორ გაუმართლა ამ პატარა გოგონას და მის დედიკოს, რომელთა სიცოცხლეც თავად სიკვდილს გამოგლიჯეს „ჰელსიკორის“ პროფესიანალ ექიმთა გუნდმა.

მინდა, იმ სკეპტიკოსებს მივმართო, რომელიც ჩვენს სამედიცინო საზოგადოებას ეჭვის თვალით უყურებენ და მსოფლიოს სხვადასხვა კლინიკაში გარბიან სამკურნალოდ. ირაკლი გოგოხიამ და ლევან ქარაზანიშვილმა სწორედ, რომ საზღვარგარეთ აწყობილი და საკმაოდ წარმატებული კარიერა დათმეს, რათა ჩვენი ქვეყნის მოქალაქეების სიცოცხლე გადაერჩინათ და წლების განმავლობაში ნაგროვები ცოდნა და გამოცდილება, საკუთარ სამშობლოში გამოეყენებინათ (ბატონი ლევანი იტალიაში გახლდათ წამყვანი კარდიო-ქირურგი, ხოლო ბატონი ირაკლი – ისრაელის ერთ-ერთი კლინიკის წამყვანი ანესთეზიოლოგი).

HELSICORE
ISRAELI GEORGIAN MEDICAL RESEARCH CLINIC

სწორედ ასეთი ადამიანების თავგანწირვასა და თავდადებაზე შენდება ჩვენი ქვეყნის მომავალი. გმირობა მხოლოდ ომში წასვლა არ არის. ყველა ადამიანს ძალუძს თვისი წილი პასუხისმგებლობა გმირობად აქციოს.

* * *

მეორე განსაკუთრებული ოპერაცია სულ ახლახანს, 5 მაისს ჩატარდა კლინიკაში. ეს ოპერაცია პირველია არა მარტო ჩვენი ქვეყნის სამედიცინო ისტორიაში, არამედ მთელი კავკასიის რეგიონში. იგი მსოფლიოშიც ახალი დანერგილია.

კლინიკა ერთი წლის განმავლობაში ემზადებოდა ნოვაციისთვის, რომელიც თბილისის მერიის ჯანდაცვის საყოველთაო დაზღვევის და რეფერალური პროგრამის მხარდაჭერით ჩატარდა.ეს არის აორტის სარქველის ტრანსკათეტერული იმპლანტაცია „TAVI“, რომელიც გულისხმობს აორტის სარქველის უოპერაციოდ (უსისხლოდ) შეცვლას , დიდი ნარკოზის გარეშე. სარქველის იმპლანტაცია თითქმის მსგავსია კორონალური სტენტირებისა.

პაციენტი 75 წლის ქალბატონი გახლდათ, რომელსაც აორტის ანუ ყველაზე მსხვილი არტერიის სარქვლის კრიტიკული შევიწროება (სტენოზი) დაუდგინდა. ქალბატონის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ იძლეოდა საშუალებას, რომ ოპერაცია ტრადიციული მეთოდით ჩატარებულიყო. სწორედ ეს ქალბატონი აღმოჩნდა პირველი, ვისაც ეს უნიკალური ოპერაცია ჩაუტარდა. ოპერაციას უძღვებოდა „ჰელსიკორის“ კარდიოლოგიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი ირაკლი გოგორიშვილი და კლინიკის პროფესიონალთა გუნდი. მათთან ერთად უმაღლესი პროფესიონალიზმით იღვწოდნენ ისრაელიდან მოწვეული მსოფლიო დონის პროფესორები არიელ ფინკერშტეინი და რონი კარმელი.

რა თქმა უნდა, ყველაფერი უნაკლოდ და სამაგალითდ ჩატარდა. კლინიკაში კიდევ სამი ადამიანი ელოდება ამ ეტაპზე იგივე ოპერაციის ჩატარებას.

გვჯერა, რომ „ჰელსიკორის“ წარმომადგენლები, სხვა ქართველ ექიმებთან ერთად, კიდევ მრავალჯერ გაგვაოცებენ და მუდამ იდგებიან ჩვენი სიცოცხლის სადარაჯოზე.

რუსუდან ქოგულია

გადარჩენილი დედა-შვილი

ოპერაციის დროს

აფხაზური საგარეო პოლიტიკის ნოუ-ჰაუ: „სუვერენიტეტი – მთელი მსოფლიოსგან მალულად“?

გასულ კვირას „აქცენტმა“ აცნობა მკითხველს, რომ სოხუმის დე ფაქტო მერმა ადგურ ხარაზიამ ერთ-ერთი იტალიური ქალაქის ადმინისტრაციასთან „განზრახვათა შესახებ მემორანდუმი“ გააფორმა. მაშინ ქართულ მედიაში აფხაზურზე დაყრდნობით გავრცელდა ინფორმაცია, რომ საუბარი იყო საპორტო ქალაქ ბარზე. თუმცა მოგვიანებით იტალიიდან სოხუმში დაბრუნებულმა დე ფაქტო საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ კან ტანიამ განაცხადა, რომ ამ ქალაქის სახელს აფხაზური მხარე გამიზნულად საიდუმლოდ დატოვებდა, რათა ქართულს ამ მიმართულებით ტრადიციული პრობლემები არ შეექმნა. ტანიამ აცნობა ჟურნალისტებს, რომ ამიერიდან სოხუმი მსგავს შემთხვევებში სწორედ ამ ტაქტიკით იმოქმედებს:

„ჩვენი გამოცდილებით, მსგავსი შეთანხმებების ან პროტოკოლების გაფორმების შემდეგ ქართული მხარე ყოველმხრივ ცდილობს ზეწოლას ხელისუფლების სხვადასხვა ინსტიტუტებზე იტალიაში მისი საელჩოს მეშვეობით, რასაც არაერთხელ მივუყვანივართ შეთანხმებების გაუქმებამდე. ჩვენ ეს გაკვეთილი კარგად შევითვისეთ და ამჯერად გადაწყდა, ქალაქის სახელი არ განვასაჯაროოთ. ამით ჩვენ დავიცავთ მის მერს საქართველოს მხრიდან მასზე და თავად ჩვენზე ზეწოლის მცდელობებისაგან და შედეგად შეთანხმების ანულირებისგან“.

თუმცა იმის დადგენას, რამდენად ეფექტური იქნება აფხაზური დიპლომატიის ეს „ნოუ-ჰაუ“, ბევრი დრო არ დასჭირვებია – სულ ორიოდე დღე: როგორც გუშინ სატელევიზიო ინტერვიუში საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა იტალიაში კარლო სიხარულიძემ განაცხადა, ქართულმა მხარემ ზემოთხსენებული იტალიური ქალაქიც დაადგინა, უკვე იტალიის შესაბამის უწყებებთანაც დაამყარა კავშირი და უახლოეს ხანებში ხსენებული უკანონო დოკუმენტი ანულირებული იქნება.

„ეს არის იტალიის პატარა დაბა – სანტა მარია დელ ჩეტრო, სადაც დაახლოებით 4 000 ადამიანი ცხოვრობს. კერძო კავშირებით შეცდომაში შეიყვანეს მისი მერი. ამჟამად იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან ერთად ვმუშაობთ ამ თემაზე და ეს დოკუმენტი სულ მალე ბათილად იქნება ცნობილიო“.

საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყების ხელმძღვანელმა მიხეილ ჯანელიძემ კი კვლავ იტალიის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურყევ მხარდაჭერაზე გაამახვილა ყურადღება და განაცხადა, რომ მსგავს დოკუმენტებს იურიდიული ძალა არასოდეს ექნებათ:

„აფხაზეთის წარმომადგენლები ცდილობენ, კერძო ვიზიტი და კონტაქტები სახელმწიფოთაშორის შეთანხმებად წარმოაჩინონ, რაც ძირშივე ეწინააღმდეგება იტალიის სახელმწიფოს პოლიტიკას – საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის ურყევ პატივისცემასო“.

ეს აფხაზური მხარის მიერ იტალიის სხვადასხვა ქალაქებთან დამეგობრების მეოთხე მცდელობა იყო და როგორც საქართველოს საგარეო უწყებაში აცხადებენ, ყველა შემთხვევაში ე.წ. ხელშეკრულებები ბათილად იქნა ცნობილი.

თუმცა თუ აფხაზ ჟურნალისტებს დავუჯერებთ მართალია, არა საკუთრივ იტალიაში, მაგრამ სოხუმთან დამეგობრებული ერთი დასავლეთევროპული ქალაქი სადღეისოდ მაინც შემორჩა. საუბარია შოტლანდიურ ქილმარნოქზე, რომელთანაც შესაბამისი შეთანხმება ჯერ კიდევ აფხაზეთის ომამდე გაფორმდა.

ასეა თუ ისე, თავად აფხაზეთში იქაური დიპლომატიის ახალ ტაქტიკას სკეპტიკურად მიუდგნენ: სოციალური ქსელების მომხმარებლებმა აფხაზური ჯგუფები ირონიული პოსტებით ააჭრელეს: „გასაიდუმლოებული ქალაქი იტალიაში?!“, „დიდი მიღწევაა – ქალაქი ინკოგნიტო დაგვიმეგობრებია!“, „მაინც რა ძლიერია ჩვენი დიპლომატია: საგარეო სუვერენიტეტი – მთელი მსოფლიოსგან მალულად!“, „იმოგზაურეს – იმოგზაურეს, გაჩუმდნენ მაინც!“

კან ტანიასა და მის კოლეგებს ჟურნალისტი ვიტალი შარია გამოესარჩლა მორიგი მცდელობით, აფხაზეთის ფართო საერთაშორისო აღიარების იდეა პერსპექტიულად წარმოეჩინა.

– დიახ, სურვილის შემთხვევაში მარტივია, აფხაზური მხარის მოქმედებაში ერთგვარი კომიკურობა განჭვრიტო (...). ერთი მხრივ, (აფხაზურ დიპლომატიას) არ გსურს, იმავე თოხს დააბიჯო. მეორე მხრივ კი, აფხაზური საზოგადოება ანგარიშს მოითხოვს და არასაკმარის აქტიურობაში გადანაშაულებს (...). ოფიციალურმა თბილისმა უკვე მოახდინა რეაგირება მიღებულ ინფორმაციაზე და პირობას დებს, რომ გაერკვევა. ისღა რჩება, წარმოსახვაში დავხატოთ ამ „აბსურდის პოემის“ მორიგი ეპიზოდი: საქართველოს საგარეო უწყებაში სპეციალური სამსახურის შექმნა, სადაც საგანგებოდ გაწვრთნილი პინკერტონები გარკვეული მეთოდების გამოყენებით ამა თუ იმ რეგიონში, ამა თუ იმ ქვეყანაში აფხაზეთიდან წარგზავნილთა ყოფნის კვალის ძიებით დაკავდებიან (...) თორემ ვაი და, ღმერთმა არ ქნას, რომელიმე იტალიურმა ფირმამ აფხაზეთში „მოცარელას“ შეტანა დაიწყოს, აფხაზეთიდან იტალიაში კი თეთრი ნახევრადტკბილი აფხაზური ღვინის გატანა!“.

იმის დასტურად, რომ აფხაზური დიპლომატიის მართლაც რომ დაუღალავი მცდელობები მთლად უპერსპექტივო არ არის და, მაშასადამე, მხარდასაჭერია, მას ასეთი ფაქტი მოჰყავს: 21 აპრილს სოხუმის ცენტრში პირველი იტალიური ბარ-რესტორანი „кристалла йаффаелла“ გაიხსნა. საზეიმო ღონისძიების სპეციალურმა სტუმარმა – იტალიელმა მომღერალმა ალბერტო ციცარელიმ საკონცერტო პროგრამა წარმოადგინა, თავად იდეის ავტორმა – კან ტანიამ კი განაცხადა:

„რესტორნის მეპატრონე ფლავიო დე მარკი ჩემი და აფხაზეთის დიდი მეგობარია. იგი ოჯახთან ერთად გადმოვიდა აფხაზეთში საცხოვრებლად, არის ასოციაციის „ევროპა-აფხაზეთი“ წევრი, რომელიც იტალიაში ჩვენი ქვეყნის იმიჯის ასამაღლებლად მუშაობს. ამ რესტორნის გახსნა დემონსტრირებაა იმისა, რომ აფხაზეთში უცხოური ინვესტიციებისა და ბიზნესისთვის ნაყოფიერი გარემოა“.

„თავად დე მარკიმ განაცხადა, რომ ძალიან შეუყვარდა აფხაზეთი, აფხაზი ხალხი და ამან გადააწყვეტინა აქ საცხოვრებლად გადმოსვლა. და პირადად მე დიდი ეჭვი მაქვს, რომ მას საქართველოს საგარეო პოლიტიკური უწყებისთვის ნებართვა არ უთხოვია“ – დასძენს შარია.

თუმცა ქართულ საექსპერტო წრეებში არ იზიარებენ ოპტიმიზმს, რომლის დათესვას აფხაზურ საზოგადოებაში დე ფაქტო ხელისუფლებასთან ერთად ვიტალი შარია და ზოგიერთი სხვა მისი კოლეგა ცდილობენ.

პოლიტოლოგ გიორგი გობრონიძის აზრით, ეს აფხაზური მხრიდან არაფორმალური ურთიერთობების სახელმწიფოთაშორისი კონტაქტების რანგში აყვანის მორიგი ფუჭი მცდელობებია, გათვლილი, უპირველესად, შიდა – აფხაზურ აუდიტორიაზე, რათა საერთაშორისო კუთხით განცდილი მორიგი მარცხი გადაიფაროს:

ამასთან, პოლიტოლოგი ამ ამბის სხვა ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას და აცხადებს, რომ მთლანობაში, აფხაზეთის წარმომადგენლების იტალიაში ვოიაჟმა ოკუპირებული რეგიონების საერთაშორისო აღიარების მიმართულებით რუსეთის პასიურობა წარმოაჩინა:

„ყველამ უნდა გააცნობიეროს, რომ რუსეთის მთავარ მიზანს სამხრეთ კავკასიის რეგიონში სამხედრო წარმოდგენილობის ზრდა და არა ოკუპირებული რეგიონების საერთაშორისო აღიარების მიღწევა წარმოადგენს. ფაქტია, რომ იგი სულაც არ ისწრაფვის აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რეალური დამოუკიდებლობის მიღწევისკენ და მსოფლიოში მხოლოდ სამი ქვეყნის მიერ აღიარება იკმარა. ამ კუთხით, ვფიქრობ, გარკვეული წვლილი ქართული დიპლომატიის აქტიურობას მიუძღვის, თუმცა დიდწილად არაღიარება ამ საკითხისადმი სწორედ რუსეთის გულგრილობის დამსახურებაა“.

საინფორმაციო სააგენტო „აქცენტი“

დე ნირო ტრამპს აკრიტიკებს



ლეგენდარული მსახიობის თქმით, თეთრი სახლის ლიდერი და მისი გუნდი ხელოვანთა მიმართ მტრულად არის განწყობილი. „ისინი ფიქრობენ, რომ ხელოვნების სფეროს დასაფინანსებლად გამოყოფილი ფული ლიბერალური ელიტის ჯიბეში მიდის. ამის გამო მათ არაერთი მნიშვნელოვანი პროექტის დაფინანსება შეწყვიტეს, რაც არასწორია,“ – აცხადებს მსახიობი.

აშშ ქურთ მებრძოლებს იარაღით მოამარაგებს

ამის შესახებ თეთრი სახლის პრესმდივანმა განაცხადა. შონ სპაისერის თქმით, სირიასა და ერაყში რადიკალი ისლამისტების წინააღმდეგ ბრძოლაში ქურთი მებრძოლების როლი მნიშვნელოვანია. ქურთ ამბოხებულებს იარაღის შეზღუდული რაოდენობა მიეწოდება, რომელსაც მებრძოლები ქალაქ რაქას გასათავისუფლებლად გამოიყენებენ.

ვენესუელაში ბოლო ერთ თვეში 44 დემონსტრანტი დაიღუპა

ამის შესახებ ადამიანის უფლებათა დაცვის ადგილობრივ ორგანიზაციაში განაცხადეს. ამავე ინფორმაციით, პოლიციამ ბოლო ერთი თვის განმავლობაში 2 ათასზე მეტი აქტივისტი დააპატიმრა. 650 მათგანი ამ დრომდე პატიმრობაში რჩება. მასშტაბური საპროტესტო აქციები კარაკასსა და ქვეყნის დიდ ქალაქებში თვეზე მეტია, გრძელდება. ოპოზიცია პოლიტპატიმრების გათავისუფლებას და ვადამდელ არჩევნებს ითხოვს.

იტალიამ, საბერძნეთმა და ესპანეთმა წელს 49 ათასზე მეტი ლტოლვილი მიიღეს

ამის შესახებ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია იტყობინება. ამავე სტატისტიკით, ევროპის სანაპიროებამდე მიღწევის მცდელობისას 1300-მდე ადამიანი დაიღუპა. იმიგრანტთა ყველაზე დიდი ნაწილი იტალიაზე მოდის, რომლის საზღვარიც 41 ათასამდე ადამიანმა გადაკვეთა. 5 ათასზე მეტი ლტოლვილი საბერძნეთმა, 2,5 ათასამდე კი ესპანეთმა მიიღო.

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ განცხადება

ბოდორნას არსებულ წყალსაცავზე ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტისათვის, მიმდინარეობს გარემოზე ზემოქმედების შეფასების სამუშაოები (გზშ), სამუშაოს ფარგლებში მომზადდა შესაბამისი ანგარიში, რომელიც გამოქვეყნებულია საზოგადოებრივი განხილვისათვის. ანგარიშის გაცნობა შესაძლებელია შემდეგ მისამართებზე:

დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა - მისამართი: ქ. დუშეთი, რუსთაველის ქუჩა №73, ცხელი ხაზი 0 357 22 33 21, ელ. ფოსტა: contact@dusheti.org.ge

„ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ სათავო ოფისი - მისამართი: მ. კოსტავას 1 შესახვევი 33, თბილისი, 0179, საქართველო, ცხელი ხაზი (+995 32) 2 93 11 11; ელ. ფოსტა: ic@gwp.ge mailto:info@waste.gov.ge

საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს გარემოზე ზემოქმედების ნებართვების დეპარტამენტი, ქ. თბილისი, გულუას ქ. 6; ტელ.: (+995 32) 272 72 60

ანგარიში ასევე ხელმისაწვდომია „ჯორჯიან უოთერ ენდ ფაუერის“ ვებგვერდზე www.gwp.ge.

გზშ-სთან დაკავშირებული კითხვები და მოსაზრებები შეგიძლიათ მოგვაწოდოთ მითითებულ მისამართებზე. კანონის შესაბამისად, დაინტერესებული მხარეებისგან შენიშვნები და რეკომენდაციები მიიღება 45 დღის განმავლობაში, **2017 წლის 24 ივნისის ჩათვლით**.

ანგარიშის საჯარო განხილვა გაიმართება დუშეთის მუნიციპალიტეტის შენობაში **2017 წლის 27 ივნისს, 14:00 საათზე**. საჯარო შეხვედრაში მონაწილეობის მიღება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ პირს.

მთარგმნელებისაგან

დავკავშირებოდი ამ წიგნის ავტორს, ვერ შევძელი, თუმცა, ვფიქრობ, ის წინააღმდეგი არ უნდა იყოს ამ ჩამატებისა, რომელიც კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს იოსებ სტალინის დიდ ადამიანურ თვისებებს, მის ყურადღებიანობას და კეთილშობილებას:

ხაშურის რკინიგზის სადგურიდან არცთუ დიდი დაშორებით მდებარე სოფლიდან ტეზერი სსრ კავშირის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველ სესიაზე აცილებდნენ ამ სოფლის ღირსეულ ადამიანს, მოწინავე კოლმეურნესა და გამორჩეულ პიროვნებას ნინო ბირკაძეს, რომელიც უზენაესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს.

„იცი, რა, ნინო? — უთხრა მას კოლმეურნეობის თავმჯდომარემ. — შენ ხალხის რჩეული ხარ და ხალხს უნდა ემსახურო. ხომ ხედავ, როგორ დღეში ვართ? მიდი სტალინთან, უთხარი, იქნებ, ამ ჩვენს სოფელშიც გახსნას პატარა სარკინიგზო ბაქანი, ამხელა გზაზე ფეხით სიარული რომ არ გვიწევდეს.

სსრ კავშირის უზენაესი საბჭოს პირველი სესია, კრემლში დიდი ზეიმით კი გაიხსნა, მაგრამ ნინოსთვის ის სტალინისა და მისთვის გადასაცემი თხოვნის მეტი არაფერი არ არსებობდა.

საღამოს სხდომა რომ დამთავრებულად გამოაცხადეს, ნინო პირველი წამოიჭრა და გავარდა იმ დერეფნისკენ, სადაც სტალინს უნდა გაევლო...

— ამხანაგო სოსელო, — ეშმაკმა დალახვროს, საიდან მოუვიდა აზრად ეს სახელი, როცა წინასწარ ათასგზის მოფიქრებული და გამეორებული ჰქონდა არა მარტო პირველი სიტყვები, არამედ მთელი თხოვნაც. წარმოთქვა „სოსელო“ და ენა დაება, ხმა ვეღარ ამოიღო.

— გამარჯობათ, — მივიდა ნინოსთან სტალინი, — საიდან გახსოვთ ეს სახელი? ეგ ჩემი ბავშვობის ფსევდონიმი და საყვარელი სახელი იყო.

— არ ვიცი, ამხანაგო სტალინ, — მიუგო ნინომ და იგრძნო, რომ ერთბაშად დამშვიდდა, თითქოს ერთი ხელის მოსმით მოეხსნა მღელვარება, სუნთქვაც ჩვეულებრივი, რიტმული გაუხდა, — ამას წინათ სადღაც წავიკითხე და უცბად მომადგა ენაზე.

— საიდან ხართ? — ჰკითხა სტალინმა.

— ხაშურიდან ვარ, სოფელ ტეზერიდან.

— ტეზერი ლამაზი სოფელია. ვყოფილვარ თქვენ სოფელში. როგორ ცხოვრობს იქ ხალხი, ძალიან ხომ არ გვლანძღავენ? — გაიღიმა სტალინმა.

— რას ბრძანებთ, ჩვენს სოფელში ძალიან შეიცვალა ცხოვრება. ხალხი სულ თქვენს ლოცვაშია. მაგრამ... — აქ ისევ წამოწითლდა ნინო, ენა დაება.

— რაო, რას ითხოვენ ტეზერელები?

— დამბარეს, სტალინი ნახე და სთხოვე, ჩვენს სოფელშიც გაგვიხსნას სარკინიგზო ბაქანი. შორი გზის გავლა გვიწევსო.

სტალინს გულიანად გაეცინა.

— კარგი, კარგი — მკლავზე მოჭიდა ხელი, — გადაეცი ტეზერელებს ჩემი მოკითხვა და კეთილი სურვილები...

ნინო მოსკოვიდან უკან რომ ბრუნდებოდა, მატარებელი ტეზერში გაჩერდა...

ამ ბაქანს ერთხანს „ნინო ბირკაძის ბაქანი“ ერქვა, შემდეგ ტეზერის ბაქანი, თუმცა ზოგჯერ სტალინის ბაქანსაც ეძახდნენ (ამონარიდები ამოღებულია ზურაბ ლომიძის დოკუმენტური მოთხრობიდან „ნინო ბირკაძის ბაქანი“, რომელიც გაზეთ „გენერალისიმუსში“ გამოქვეყნდა. 2004 წ. 26-31 ოქტომბერს).



5

ისტორიის ფალსიფიკაცია — როგორ კეთდება ეს

სიმართლეს სიცრუის ბატალიონები იცავენ
ი.ბ. სტალინი

სიმართლე იმდენად ძვირფასია, რომ მას თან უნდა ახლდეს სიცრუის ესკორტი.
უ. ჩერჩილი

თითოეულ ჩვენგანს მოუსმენია ისტორიის ეს ცნობილი ფალსიფიკაცია. შეეკითხეთ ნებისმიერს. — ის გეტყვით, რომ მოისმინა. ახლა კი ჰკითხეთ მას, რა არის ეს. აქ გაჩნდება სირთულეები განსაზღვრაში. ვინმე იტყვის თავსმოხვეულ აზრზე, რომ სწორედ საბჭოთა კავშირი არის დამნაშავე მეორე მსოფლიო ომის დაწყებაში, ვინმე გაიხსენებს ბუნდოვან ისტორიას შინსახკომის მიერ პოლონელი ოფიცრების დახვრეტის შესახებ აშკარად ყალბი დადასტურებებით (მე პირადად მცირეოდენი ეჭვიც არ მეპარება, რომ კატინში პოლონელები გერმანელებმა დახვრიტეს). მაგრამ მე დარწმუნებული ვარ, რომ არავინ მათგან, ვისაც თქვენ, პატივცემულო მკითხველო, შეეკითხებით, ვერ გეტყვით, თუ ახლა რაზე ვისაუბრებთ. იმიტომ, რომ ნორმალური ადამიანისთვის ამის წარმოდგენა ძნელია. თავისი ქვეყნის წესიერი მოქალაქისთვის შემაძრწუნებელიც კია ამაზე ფიქრი. არაანგაჟირებული ისტორიკოსისთვის ეს უბრალოდ შეუძლებელია.

საკითხი შეეხება იმას, რომ პირდაპირ ჩვენს თვალწინ ხდება გაყალბება საარქივო დოკუმენტებისა, რომელთა სინამდვილეც უნდა შეამოწმონ სპეციალისტებმა და არქივარიუსებმა. წყნარად, ზედმეტი ხმაურის გარეშე იქმნება ნეგატიური დამოკიდებულება სტალინისადმი. თანაც საქმეში ერთვება ყველაზე საზიზღარი მეთოდები, ხერხი. კერძოდ კი — სსრ კავშირის მეთაურის დიდი თანამებრძოლების ხელმეორედ გამოცემული მემუარები. ისინი გამოიცემა, როგორ ვთქვათ უფრო რბილად... შესწორებული, შევსებული. უკვე მემუარების ავტორის გარდაცვალების შემდეგ. და ეს კეთდება ისტორიკოსებისა და ვეტერანების თვალწინ. საკითხი შეეხება, თქვენ წარმოიდგინეთ, დიდი სამამულო ომის ყველაზე ცნობილი მხედართმთავრის მემუარებს. და ეს ლოგიკურია — რატომ შევავსოთ და ხელახლა დავწეროთ ნაკლებად ცნობილი პერსონაჟების მონათხრობები სტალინის შესახებ? როდესაც შეიძლება დავიწყოთ იმათგან, ვისი ცხენის ქანდაკებამაც დაამშვენა მანეჟის მოედანი მოსკოვში.

მათ, ვინც აპირებს, ხელახლა გადაწეროს რუსეთის ისტორია, გადაწერეს მარშალ გიორგი კონსტანტინეს ძე ჟუკოვის მემუარები. ჩვენ კი, თქვენთან ერთად, ეს ვერც შევამჩნიეთ.

ცოდვილია თქვენი მონა-მორჩილიც. რასაკვირველია, მე წავიკითხე ჟუკოვის მემუარები, მაგრამ აზრადაც არ მომსვლია, რომ გარდამქმნელები მთლიანად დაამახინჯებდნენ მათს აზრს. აზრისკენ, შემედარებინა ერთმანეთისთვის მარშლის მოგონებათა წიგნები, მიბიძგა ერთ-ერთი მკითხველის წერილმა, რომელიც მივიღე მუშაობის დაწყების შემდეგ ამ წიგნზე ჩემს საიტზე. აი, ის წერილი:

„მინდა, გაგიზიაროთ ერთი დაკვირვება, რომელიც გავაკეთე, როდესაც ვკითხულობდი საბჭოთა კავშირის მარშლის გ.კ. ჟუკოვის წიგნს „მოგონებები და ფიქრები“. გამიმართლა და ხელში ჩამივარდა ავტორის 1970 წლის გამოცემა. რა წარმატებაა ეს, მივხვდი, როდესაც შევეცადე, მენახა ინტერნეტში ეს წიგნი. საქმე ისაა, რომ ქსელში უფრო ადრინდელი გამოცემის ნახვა ვიდრე 1989 წლისა, პრაქტიკულად, არარეალური აღმოჩნდა. ყველა გამოცემა 1989 წლის შემდეგ გასაოცრად განსხვავდება შინაარსით იმ გამოცემისგან, რომელსაც ვკითხულობ. ისეთი შეგრძნებაა, რომ მათ სრულიად სხვადასხვა მარშლები ჟუკოვები წერდნენ. მარშალი ჟუკოვი თავისი წიგნის 1970 წლის რედაქციაში პატივისცემით საუბრობს სტალინზე, საბჭოთა სახელმწიფო ხელმძღვანელობაზე. 1989 წლის რედაქცია კი სავსეა შხამიანი და დამამცირებელი თავდასხმებით სტალინის მისამართით. არ მოვიყვან ციტატებს ყველა ამ უცხო ჩამატებებიდან ორიგინალის ტექსტში, ვიტყვი მხოლოდ, რომ ეს სისაძაგლე წიგნის თითქმის ყოველ თავში გვხვდება. ერთ-ერთი წიგნის მაღაზიაში დავინახე 2011 წელს გამოცემული ჟუკოვის იმავე წიგნის ორტომეული. ეს იგივეა, რაც 1989 წლის გამოცემაში —„დესტალინიზაცია“ ჟუკოვის სახელით. თანაც არის წინასიტყვაობაც, სადაც ნათქვამია, რომ ცვლილებები ტექსტში შეტანილია 1989 წელს, ავტორის გარდაცვალებიდან თხუთმეტი წლის შემდეგ. რის საფუძველზე დაამახინჯეს მარშლის ნაშრომი? ეს კიდევ ერთი დანაშაულია გორბაჩოვისა და მისი დამქაშების ბოროტმოქმედებათა წყებაში. გამოდის, რომ ნებისმიერი ადამიანი, ვინც გადაწყვეტს, გაეცნოს გამოჩენილი მარშლის მემუარებს, გადააწყდება დამახინჯებებს მის ვერსიაში ინტერნეტში ან წიგნის მაღაზიაში“.

და ჩავუჯექი ჟუკოვის მემუარებს. ახლა მათ შესახებ თამამად შეიძლება ილაპარაკო მრავლობით რიცხვში. არის 1970 წლის წიგნი (მე ხელთ სწორედ ის აღმომაჩნდა) და 1989 წლის „გარდაქმნითი“ ვარიანტი. მაშ ასე, ჩვენ ერთმანეთს ვადარებთ ორი მარშლის ჟუკოვების ორ წიგნს.

1. გ.კ.ჟუკოვი, მოგონებები და ფიქრები. — ბეჭდვითი სიტყვის სააგენტოს გამომცემლობა „ნოვოსტი“ 1970.

2. გ.კ. ჟუკოვი. მოგონებები და ფიქრები. 2 ტომად. ოლმაპრესი, 2002.

სწორედ მეორე ვარიანტი იცემა ამჟამად ერთი მეორის მიყოლებით.

მაგრამ სანამ დავიწყებდეთ მემუარების გარჩევას, მინდა, რამდენიმე მომენტი აღვნიშნო. გიორგი ჟუკოვი დიდხანს ცოცხლობდა. ის 1974 წლის 18 ივნისს გარდაიცვალა, მაშინ, როდესაც მისი მემუარების პირველი გამოცემა გამოვიდა 1969 წელს. 1970 წლის გამოცემის წიგნში, ჩემი წიგნის თაროზე რომ დევს (ეს მეორე გამოცემა გამოდის), პირდაპირ ყდაზე არის — მარშლის ავტოგრაფი. წინასიტყვაობაში, რომელშიც ჟუკოვი ჩამოთვლის კოლეგებს, ვინც მას წიგნის დაწერაში ეხმარებოდა, და ბოდიშს იხდის, რომ იარაღით ყველა ამხანაგზე ვერ დაწერა, აქ არის მისი პირადი ხელმოწერა და თარიღი: 1969 წლის 10 თებერვალი, ესე იგი გამოცემა მისი სიცოცხლის დროს მოხდა. და ავტორს არ ჩაუთვლია უხერხულად, დაეტოვებინა მასზე თავისი ავტოგრაფი.

აი, 2002 წლის გამოცემის წინასიტყვაობაში არის ასეთი სტრიქონები: „თავის მოგონებებში წიგნის რედაქტორი ანა დავითის ასული მირკინა წერს: **„მარშალ ჟუკოვზე უზარმაზარი პსესინგი მოახდინეს. იმ დროს, როდესაც გამეფებული იყო დაუნდობელი იდეოლოგიური ცენზურა, და სხვაგვარად არც შეიძლებოდა... მოგვიწია ბევრი პოზიციის დაცვამ, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში გ.კ.ჟუკოვი იძულებული იყო, უკან დაეხია, წინააღმდეგ შემთხვევაში წიგნი ვერ გამოვიდოდა. ამაში ადვილად დავრწმუნდებით, თუ შევადარებთ 1969 წლის პირველი გამოცემის ტექსტს 1989 მე-10 გამოცემას კუპიურების გარეშე, რაც შევსებულია ავტორის ხელნაწერების მიხედვით. ხელნაწერის ორიგინალში ამოშლილია მთელი გვერდები; აბზაცები, ფრაზები იცვლებოდა ისე, რომ კარგავდა თავის აზრს. სულ ამოგდებული იყო დაახლოებით 100 მანქანაზე გადაბეჭდილი გვერდი“.**

სწორედ მარშალზე ზეგავლენით აიხსნება რედაქტორების მიერ მრავალრიცხოვანი შესწორებები და დამატებები, რომლებიც შეტანილია იმ წიგნების გამოცემაში, 1989 წლის შემდეგ რომ გამოვიდნენ. იქნებ ყველაფერი პირიქით იყო? ან იქნებ მარშალ ჟუკოვის ორიგინალურ ტექსტში შეტანილია რედაქტორების ნათავისარი, რომლებიც ასრულებდნენ დაკვეთას საბჭოთა წარსულის „გამოაშკარავების“ მიზნით? „ფორმად ჩამოყალიბებული“ მარშლის მემუარების მკითხველებს ხომ არსებითად სთავაზობენ, დაუჯერონ მარშალ ჟუკოვს, რომელმაც ნება დართო ანა მირკინას განეთავისუფლებინა მისი ავტოგრაფი წიგნის ყდაზე და სატიტულო ფურცელზე. გამარჯვების მარშალმა თავისი ავტოგრაფი დატოვა თავისი მემუარების მიძღვნის ქვეშ: „ვუძღვნი საბჭოთა ჯარისკაცებს“. ნუთუ ქედუხრელი მარშალი შეიძლებოდა, აეძულებინათ, წასულიყო თავისი რწმენის წინაშე, როდესაც ხელს აწერდა ასეთ წმინდა სტრიქონებს? ნუთუ გიორგი კონსტანტინეს ძეს შეეძლო პატიოსანი სინდისით ეცრუა თავისი თანამემამულეების წინაშე?

გამარჯვების მარშლის მუზეუმში სოფელ სტრელკოვოს მახლობლად სათუთად ინახება წიგნის ყველაზე პირველი ეგზემპლარი დიდი მხედართმთავრის ავტოგრაფით.

თარგმნა
ზურაბ ლომიძემ

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №69-82; 86-94

ზურაბ ქადაგიძე:

ქართული ოჯახი ქვეყნის არსებობის ქვაკუთხედია!

თბილისის საკრებულოს დეპუტატმა ზურაბ ქადაგიძემ „რეპორტიორთან“ საუბრისას ლისის ტბის მიმდებარედ დამწვარ ხეებთან დაკავშირებით ისაუბრა და აღნიშნა, რომ თვითმმართველობის არჩევნები ახლოვდება და მსგავსი განცხადებები მოსალოდნელია.

— „ახალი საქართველო“ რაღაც ახალ ინტრიგნულ, პროვოკაციულ მიდგომებს გვთავაზობს.

ეს გახლავთ წლების წინათ გაჩენილი ხანძრის შედეგად დაზიანებული ტერიტორია. ამ საკითხზე მერიის ოფიციალურმა პირებმა გააკეთეს განცხადება და აღნიშნეს, რომ ეს ტერიტორია ერთ-ერთ კერძო კომპანიას ეკუთვნის. რაც შეეხება იმას, რომ მერიის მხრიდან არ ხდება რეაგირება, ეს არის აბსურდი და ტყუილი. დავით ნარმანიას ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი სწორედ გამწვანებაა, რომელსაც მოწმობს ის 650 000-ზე მეტი დარგული ხე.

— გარევაჭრობის აკრძალვასთან დაკავშირებით რას ფიქრობთ?

— ჩვენ თუ გვაქვს ცივილიზებულ ქვეყანასა და ევროპულ სტანდარტებზე პრეტენზია, აუცილებელია, გქვონდეს გარკვეული სახის ორგანიზება მოწყობისა და ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით. მსოფლიოში კონკრეტულ იურიდიულ საფუძველზე შექმნილი ბაზრობები და ბაზრები არსებობს, აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს პოზიციას 100%-ით ვამართლებ, უნდა იყოს ასეთი მიდგომა.

რაც შეეხება მორალურ ფაქტორებს, ყველა ვთანხმდებით ერთ საკითხზე, ადამიანს რომ არ უჭირდეს, ნამდვილად არ დადგებოდა ქუჩაში და ამა თუ იმ პროდუქციით არ ივაჭრებდა. თუმცა, თბილისის მთავრობის ძალისხმევით ყველა ბაზრობის მეპატრონესთან მოხდა კოორდინაცია და შეთანხმება, 6 თვის განმავლობაში ეს ადამიანები გადასახადს არ გადაიხდიან.

ერთს გეტყვით, როდესაც მეტრო „მარჯანიშვილის“ მიმდებარე ტერიტორიაზე დაიწყო ე.წ. მოსუფთავება, ძალიან ბევრი მოქალაქე ღიად აცხადებდა, რომ სახელმწიფოს მხრიდან ეს ძალიან კარგი ნაბიჯი იყო. არსებობს კიდევ ერთი დიდი პრობლემა, რაც ანტისანიტარიასა და ეკოლოგიას უკავშირდება.

გარევაჭრობის პრობლემის გადაჭრა უმტკივნეულოდ, ზედმეტი ბატალიების გარეშე, მოლაპარაკების გზით მოხდა.

— მოსახლეობა ე.წ. ელიავას ბაზრობის ტერიტორიის რეკრეაციულ ზონად გადაკეთებას ითხოვს... რას ფიქრობთ ამ იდეაზე?

— პირველ რიგში, განსასაზღვრია, არის თუ არა ეს ტერიტორია კერძო საკუთრება, გასარკვევია, რამდენად ჩაჯდება ესა თუ ის პროექტი სახელმწიფო განვითარების გეგმაში. ეს კომპლექსური საკითხია. ამიტომ მივესალმები ყველგან, სადაც შესაძლებელია, რეკრეაციული ზონის გაკეთებას.

— დიდგორის დღის უქმედ გამოცხადებასთან დაკავშირებით როგორია თქვენი შეხედულება? გათვალისწინებულ უნდა იქნეს თუ არა თურქეთის საელჩოს თხოვნა?

— თუკი არსებობდა ასეთი ფაქტი, თუკი რეალურად ვინმემ მოითხოვა, რომ დიდგორობა არ იყოს უქმე დღე, მაშინ დაველოდოთ თურქეთის ოფიციალურ განმარტებას, რას ნიშნავს ეს ყველაფერი.

რაც შეეხება უქმე დღედ გამოცხადებას, დიდგორობას მე ჩემს მეგობრებთან ერთად, შეძლებისდაგვარად ყოველ წელს აღვნიშნავ ხოლმე. გამოვაცხადებთ თუ არა დიდგორობას უქმე დღედ, ეს გემოვნების საკითხია. საკმაოდ ბევრი დღეა, დიდი დღესასწაულები არსებობს, რომლებსაც საზოგადოება უქმედ იყენებს. ამ თემით მანიპულირება არ შეიძლება.

ДИДГОРОБА АРИС ЕРТ-ЕРТИ МТАВАРИ ТАРИДИ САQАРТВЕЛОС ИСТОРИАШИ. ЕС АРИС УДИДЕСИ ДЕСАСЗЗАУЛИ, РОМЕЛСАЦ ТИТОЕУЛИ ЕРТИ ЕРИ ГАВЗЕНАС. АQЕДАН ГАМОМДИНАРЕ, АМ ТЕМИС ГАИАФЕБАЗ АР ШЕИДЕБА АСЕТ ДОНЕЗЕ. ДИДГОРОБИС ПРИМИТИЗЕБАМДЕ ДАЗВАНА АР ШЕИДЕБА.

— საკონსტიტუციო კომისიამ კანონპროექტზე მუშაობა დაასრულა, გრძელდება საჯაროსაგანმარტებელი. იცვლება პრეზიდენტის არჩევის წესი, როგორ ფიქრობთ, მსგავსი ცვლილება სწორი გადაწყვეტილებაა?

— ეს ერთ-ერთი ყველაზე კარგი და წინგადადგმული ნაბიჯია, ამაზე თვეების განმავლობაში მიდიოდა მსჯელობა, ბევრი ჯგუფი მუშაობდა.

თუკი ჩვენ საპარლამენტო რესპუბლიკისკენ მივდივართ, მაშინ იმ ჩარჩოში უნდა მოვექცეთ, რასაც საპარლამენტო რესპუბლიკა მოითხოვს.

ირაკლი კობახიძემ ისაუბრა, რომ ჩვენ ვვითარდებით ამ კუთხით. ჩვენ თუ გვინდა, რომ რიგი პოლიტიკოსების პოპულისტური გამოსვლების გამო საზოგადოებას განვითარების საშუალება არ მივცეთ, მაშინ მოდით, ამაზე შევთანხმდეთ, მაგრამ, გასათვალისწინებელია ერთი რამ, საზოგადოების უდიდესმა ნაწილმა სწორედ „ქართულ ოცნებას“ მიანიჭა ის უფლებამოსილება, რასაც ახლა მმართველი პოლიტიკური პარტია ქვეყანაში ახორციელებს.

— უქმდება მაჟორიტარული სისტემა...

— ქვეყნის განვითარებისთვის ეს არის უფრო დემოკრატიული და წინ გადადგმული ნაბიჯი. სწორედ ეს გახლდათ „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო დაპირება. მმართველ ძალას გამოარჩევს ის, რომ ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღება ხდება ეტაპობრივად და არა ერთი ხელის მოსმით.

— შესაძლებელია, კონსტიტუციაში ჩაიწეროს დეფინიცია, რომ ოჯახი ქალისა და მამაკაცის ერთობაა, ამ ინიციატივას რამდენად იზიარებთ?

— ოჯახი ქალისა და მამაკაცის ურთიერთობაა, მაგრამ ვინმეს თუ სურს, ოფიციალურ და არაოფიციალურ ურთიერთობაში ყოფნა, მათი ცხოვრება და მათი არჩევანია.

ჩვენთან ადამიანების ურთიერთობა არ იკრძალება და ამ ურთიერთობაში სახელმწიფო არ ერევა. პირიქით, თუ ვინმე რაიმე სახით ჩაერევა, ამისთვის კანონია შექმნილი და ის ადამიანი მკაცრად დაისჯება.

ქართული ოჯახი არის ქვეყნის ქვაკუთხედი. დღეს საქართველო რომ არსებობს, ქართული ტრადიციული ოჯახის დამსახურებაა.

ესაუბრა
სალომე უერთაშვილი

◎ ეს სერიოზული პროblემაა!

მამების აუნაზღაურებელი დეკრეტული

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური მომსახურების სამინისტროს ინფორმაციით, ჯანდაცვის სამინისტრო აქტიურად მუშაობს კაცებისთვის ანაზღაურებადი დეკრეტული შვებულების საკითხზე, თუმცა ამ ეტაპზე, სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის ინფორმაციით, დეტალები არ კონკრეტდება. შრომის კოდექსის მიხედვით, დეკრეტული შვებულების გამოყენების საშუალება ჩვილის დაბადების შემთხვევაში მამებსაც აქვთ, თუმცა შვებულება მხოლოდ ორ შემთხვევაში ანაზღაურდება: პირველი, თუკი დედა გარდაიცვლება და მეორე, ერთ წლამდე ბავშვის შვილად აყვანის შემთხვევაში.

დავით სუბელიანმა ე.წ. დეკრეტული შვებულებით ორი წლის წინათ, პირველი შვილის დაბადების შემდეგ, სულ სამი-ოთხი კვირით ისარგებლა. როდესაც დეკრეტული შვებულების აღება გადაწყვიტა, არაფერი იცოდა არც კანონმდებლობის შესახებ და არც იმის თაობაზე, როგორ მიიღებდა მის თხოვნას დამსაქმებელი. მიზანი, რის გამოც დეკრეტული შვებულების აღება გადაწყვიტა, ცოლის დახმარება და ოჯახთან მეტი დროის გატარება იყო. მას ოფიციალური დეკრეტული შვებულებით არ უსარგებლია, რადგან კანონმდებლობის მიხედვით, მისი ოჯახური მდგომარეობა ამის საშუალებას არ აძლევდა.

დავით სუბელიანის სიტყვებით, დამსაქმებელმა, უბრალოდ, კეთილი ნება გამოიჩინა და რამდენიმე კვირით გაათავისუფლა, თუმცა პერიოდულად საქმეს სახლიდან მაინც აკეთებდა. მას შემდეგ დათოს კიდევ ორი შვილი შეეძინა, თუმცა მას დეკრეტული შვებულება აღარ მოუთხოვია. ოჯახის დასახმარებლად შვებულების დღეებს იყენებს. დავით სუბელიანი ფიქრობს, რომ ახალშობილის აღზრდის ტვირთის აღება მშობლებისთვის თანაბრად უნდა იყოს შესაძლებელი:

„დედები დაჩაგრულ მდგომარეობაში გამოდიან, რადგან გარდა იმისა, რომ მათ უწევთ ფეხმძიმობის ტვირთის ტარება, შემდეგ მათ რამდენიმე თვის განმავლობაში უწევთ პატარა ბავშვთან ყოფნა და ეს მათ, კარიერული თვალსაზრისით, უკან ხევს, რაც არ უნდა კანონით იყოს მინიჭებული მათთვის ეს უფლება. ამ პერიოდის ჩაგდების შემდეგ, გინდა, არ გინდა, მათ სჭირდებათ ორმაგი ძალისხმევით მუშაობა, რომ სამუშაოზე დაიბრუნონ ის ძველი პოზიციები. ჩვენ ყველანი ძალიან კონკურენტულ გარემოში ვმუშაობთ“.

შრომის კოდექსის 27-ე მუხლის მიხედვით, დასაქმებულს თავისი მოთხოვნის საფუძველზე ეძლევა ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის გამო შვებულება 730 კალენდარული დღის ოდენობით. ამ შვებულებიდან ანაზღაურებადია 183 კალენდარული დღე, ხოლო მშობიარობის გართულების ან ტყუპის შობის შემთხვევაში — 200 კალენდარული დღე. შვებულება ანაზღაურდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და ის 1000 ლარს შეადგენს, თუმცა არსებობს საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის 2006 წლის ბრძანება, რომელიც შრომის კოდექსის ამ მუხლს შეზღუდვებს უწესებს მამების დეკრეტული შვებულების ანაზღაურების თვალსაზრისით. ანუ, დღეს არსებული კანონმდებლობითა და ამ ბრძანების მიხედვით, დეკრეტული შვებულება მამებისთვის მხოლოდ ორ შემთხვევაში ანაზღაურდება: ერთი, თუკი დედა გარდაიცვლება და მეორე, თუკი ოჯახი ახალშობილს შვილად აიყვანს. ასეთ დროს დახმარებას იღებს ბავშვის მამა ან მეურვე პირი. ანუ საქართველოს შრომის კოდექსში არსებული მუხლი, რომლის მიხედვითაც რეგულირდება დეკრეტული შვებულების ანაზღაურება, მამებზე, ფაქტობრივად, არ ვრცელდება. საქართველოს გაერთიანებული პროფკავშირის თავმჯდომარის მოადგილის ეთერ მათურელის, თქმით, სწორედ ჯანდაცვის მინისტრის ეს ბრძანება აფერხებს მამებისთვის დეკრეტული შვებულების ანაზღაურებას და წლებია, სწორედ მის ცვლილებას ითხოვს პროფკავშირი:

„მე ვიცი სამი მამაკაცი, რომლებმაც ისარგებლეს დეკრეტული შვებულების ანაზღაურებით და მათ დასჭირდათ ძალიან ბევრი ბიუროკრატიული ბარიერის გადალახვა იმისათვის, რომ მიეღწიათ შედეგამდე. ისინი არ დაიღალნენ. და ამ ადამიანებს ასე სირბილი რომ არ დასჭირდეთ, ეს ხარვეზი უნდა ჩასწორდეს და ეს უნდა გააკეთოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ“.

ელზა ჯგერენაია, ჯანდაცვის სამინისტროს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის უფროსი ამბობს, რომ სამინისტრო სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაციის ჩართულობით აქტიურად მუშაობს ე.წ. დეკრეტული შვებულების დახვეწის საკითხზე. შესაბამისად, მისივე თქმით, მიმდინარეობს მსჯელობა, თუ როგორ უნდა გადანაწილდეს დეკრეტული შვებულება დედ-მამას შორის, თუმცა იმასაც ამბობს, რომ დღეს არსებულ კანონმდებლობას ის ვერაფრით უწოდებს დისკრიმინაციულს, რადგან მამას აქვს საშუალება, გამოიყენოს არაანაზღაურებადი შვებულება:

„მამას შეუძლია 12 კვირა დედასთან ერთად გამოიყენოს არაანაზღაურებადი შვებულება“.

ანუ შრომის კოდექსის მიხედვით, მამას შეუძლია ისარგებლოს დამატებითი, ჯამში, 12 კვირის ოდენობის შვებულებით, წელიწადში არანაკლებ 2 კვირისა, სანამ ბავშვს არ შეუსრულდება 5 წელი, თუმცა მათ ეს შვებულება არ აუნაზღაურდებათ.

ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა იმის შესახებ, თუ რამდენი კაცი სარგებლობს წელიწადში დეკრეტული შვებულებით. სახალხო დამცველის ოფისის ინფორმაციით, 2014 წელს ოფისს მიმართა ერთმა ადამიანმა დეკრეტული შვებულების შესახებ კანონმდებლობის განმარტების თხოვნით. ასევე, მხოლოდ ერთმა ადამიანმა მიმართა სახალხო დამცველს 2016 წელს, მიმართვის საფუძველი კი დეკრეტული შვებულების ანაზღაურების საკითხი იყო.

ნინო თარხნიშვილი

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

გრანდები და ორი უცნობი

გუშინ კიოტოში (იაპონია) 2019 წლის მსოფლიო თასის ჯგუფური ეტაპის წილისყრა გაიმართა.

პირველად ქართული რაგბის ისტორიაში „ბორჯღალოსნები“ წილისყრას განთესილი ნაკრების სტატუსით შეხვდნენ. მილთონ ჰეიგის გუნდმა 2015 წლის მსოფლიო თასზე ტონგასა და ნამიბიის ძლევით ჯგუფში მესამე ადგილი დაიკავა, 12 მოწინავეს შორის მოხვდა და მომავალი მსოფლიო თასის საგზური დაიბევა.



2017 წლის ექვსი ერის დასრულების შემდეგ მსოფლიო რაგბის რეიტინგში დაკავებული ადგილების მიხედვით 2019 წლის მსოფლიო თასის 12 მონაწილე კალათებში განაწილდა. „ბორჯღალოსნები“ მესამე კალათაში არგენტინის, იაპონიისა და იტალიის ნაკრებებთან ერთად მოხვდნენ, რაც იმის მანიშნებელი იყო, რომ ჯგუფურ ეტაპზე ისინი ჩვენი მეტოქეები არ იქნებოდნენ.

კიოტოში გაემგზავრნენ და წილისყრას დაესწრნენ „ბორჯღალოსანთა“ მთავარი მწვრთნელი მილთონ ჰეიგი და მენეჯერი ირაკლი ხუნდაძე.

2019 წლის იაპონიის მსოფლიო თასზე „ბორჯღალოსნები“ „დ“ ჯგუფში, ავსტრალიისა და, უელსის ნაკრებებთან, აგრეთვე ზღვისრეთის ზონის გამარჯვებულთან და ამერიკის მეორე გუნდთან ითამაშებენ.

ავსტრალიასა და უელთან „ბორჯღალოსნებს“ აქამდე არასდროს უთამაშიათ, მაგრამ „ურჩხულებს“ ტესტის გასამართავად წელსვე, 18 ნოემბერს, კარდიფში ვეწვევით.

ზღვისრეთის შესარჩევს პირველი წრის შემდეგ 8 ქულით ფიჯი ლიდერობს, სამოას 4 ქულა აქვს, ხოლო ტონგას– 1. მეორე წრე ამა წლის ივნისში დასრულდება და გამარჯვებული იაპონიის მსოფლიო თასზე ჩვენი მეტოქე იქნება.

წლეულს ივნისშივე შტატები და კანადა ორრაუნდიან ბრძოლაში ამერიკა1-ს გაარკვევენ, ხოლო დამარცხებული მეორე საგზურისთვის და „დ“ ჯგუფში მოხვედრისთვის სამხრეთი ამერიკის ფალავანს, სავარაუდოდ ურუგვაის შეერკინება. კიოტოში გამართული წილისყრის შედეგად 2019 წლის მსოფლიო თასისთვის გუნდები ასე გადაწილდნენ.

ა ჯგუფი

ირლანდია, შოტლანდია, იაპონია, ევროპა 1, ევროპა 2 – ზღვისრეთი 3.

ბ ჯგუფი

ახალი ზელანდია, სამხრეთი აფრიკა, იტალია, აფრიკა 1, რეპეშაჟი.

გ ჯგუფი

ინგლისი, საფრანგეთი, არგენტინა, ამერიკა 1, ზღვისრეთი 2.

დ ჯგუფი

ავსტრალია, უელსი, საქართველო, ზღვისრეთი 1, ამერიკა 2.

კობა კობახიძე

◎ ხელბურთი

მედლებისთვის ოთხეული იბრძოლებს

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ეროვნულ ჩემპიონატში რეგულარული სეზონი დასრულდა – გაირკვა იმ ოთხი გუნდის ვინაობა, რომლებიც მედლებისთვის იბრძოლებენ. კვარტეტის სამი წევრი კარგა ხნის წინათ იყო ცნობილი, მეოთხე ვაკანტურ ადგილს კი თელავის „იმედი“ და თბილისის „პეგასი“ ეცილებოდნენ ერთმანეთს. კახელებმა ბოლო ტურში სიურპრიზი შესთავაზეს ქომაგებს – ერთპიროვნული ლიდერი „ქუთაისი“ დაამარცხეს და ფინალური ოთხეულის ბოლო საგზური დაიმსახურეს, ხოლო რიონისპირელებს წაგება პირველობის დაკარგვად დაუჯდათ.

მე-18 ტურში თელაველები პირველი ტაიმის შემდეგ 12:6 უგებდნენ „ბათუმს“, მაგრამ საბოლოოდ მატჩი 20:22 დათმეს. ბოლო ტურის შეხვედრაც ლამის მსგავსი სცენარით წარიმართა: „იმედი“ – „ქუთაისის“ პაექრობის 25-ე წუთზე „თელავი“ რვა ბურთით (19:11) იყო წინ, მაგრამ შესვენების შემდეგ გუნდს დაღლილობა დაეტყო და ორთაბრძოლის დამთავრებამდე ოთხნახევარი წუთით ადრე 24:28 ჩამორჩა, თუმცა, მაინც შეძლო ძალების მოკრება და 59-ე წუთზე წონასწორობა აღადგინა – 28:28. სირენამდე 18 წამით ადრე თელაველები ერთი ბურთით დაწინაურდნენ, რაც გასამარჯვებლად და ნახევარფინალში მოსახვედრად საკმარისი აღმოჩნდა.

„იმედი“ – „ქუთაისი“ 29:28

„იმედი“: ცინცაძე, ხარაიშვილი, გიორგაძე – 9, მიქავა – 8, ყორიაული – 8, ბაინაზიშვილი – 2, ცისკარიშვილი – 1, იობაშვილი – 1, აბაშიძე, ცხვარაშვილი, აბჟანდაძე, მწვრთნელები – მეტრეველი, სამადაშვილი, შარანგია.

„ქუთაისი“: ცერცვაძე, ტორონჯაძე, გამზარდია – 7, რუსტამოვი – 7, სიმონია – 6, მერკვილაძე – 4, ჯუღელი – 3, ჭელიძე – 1, უ. კობახიძე, მათნაძე, მწვრთნელები – ბოყოჩაძე, ყაველაშვილი, გობეჯიშვილი.

რეგულარული ჩემპიონატის ბოლო ტურის დანარჩენი მატჩები ასე დასრულდა: სტუ – „ბათუმი“ 29:34, „გორი“ – „წყალტუბო“ 37:27, „პეგასი“ – „სამტრედია“ 37:33.

	თ	მ	ფ	წ	ბ	ქ
„ბათუმი“	21	17	1	3	786-612	35
„ქუთაისი“	21	17	1	3	785-678	35
„სტუ“	21	16	1	4	743-597	33
„იმედი“	21	11	1	9	627-582	23
„პეგასი“	21	11	1	9	762-718	23
„გორი“	21	4	1	16	747-836	9
„სამტრედია“	21	4	0	17	695-795	8
„წყალტუბო“	21	1	0	20	613-940	2

18 მაისს ნახევარფინალში ითამაშებენ: ბათუმის „შავი ზღვის ბიჭები“ – „იმედი თელავი“, „ქუთაისი“ – სტუ – „ქარიშხალა“.

ფინალი 19 მაისს გაიმართება.

ლექსო ცინცაძე

◎ ჩოგბურთი

განახლებული რეიტინგით

ჩოგბურთელ ქალ-ვაჟთა საერთაშორისო ასოციაციებმა წინა კვირის შედეგების გათვალისწინებით

განახლებული რეიტინგები გამოაქვეყნეს. ჩვენებურთაგან მარიამ ბოლქვაძემ ერთეულებში 19, წყვილებში კი 23 საფეხურით წაიწია წინ. გაგაცნობთ ქართველთა მაჩვენებლებს მსოფლიოს კლასიფიკაციაში:

ქალები

ერთეულები. 244 (241). სოფიო შაფათავა (208 ქულა), 362 (335). ეკატერინე გორგოძე (106), 564 (583). მარიამ ბოლქვაძე (46), 655 (649). სოფიო ქვაცაბაია (33), 867 (865). ოქსანა კალაშნიკოვა (14).

წყვილები. 56 (59). ოქსანა კალაშნიკოვა (1345), 220 (218). სოფიო შაფათავა (270), 255 (255). ეკატერინე გორგოძე (234), 473 (472). სოფიო ქვაცაბაია 992), 563 (589). მარიამ ბოლქვაძე (68), 712 (719). თათია მიქაძე (37), 1262 (1278). ლანა კენჭიაშვილი (3), 1262 (1278). ანა შანიძე (3).

ვაჟები

ერთეულები. 61 (61). ნიკოლოზ ბასილაშვილი (821), 605 (571). ალექსანდრე მეტრეველი (47), 858 (879). გიორგი ცივაძე (18), 1765 (1762). ალექსანდრე ბაქში (1), შოთა მეფარიძე (1), ირაკლი მეტრეველი (1).

თამაზ პატარიძე

◎ ფარიკაობა

ქვეყანა – 6, მონაწილე – 206

საქართველოს, რუსეთის, იტალიის, სომხეთის, აზერბაიჯანისა და ბელარუსის 206 წარმომადგენელი მონაწილეობდა ახალგაზრდა მოფარიკავეთა საერთაშორისო ტურნირში აფხაზეთის თასზე (მთავარი მსაჯი ზურაბ ლოლუა), რომელიც აფხაზეთის კულტურისა და სპორტის სამინისტროს, აფხაზეთისა და საქართველოს ფარიკაობის ფედერაციების ინიციატივით გაიმართა. მედლები ორ ასაკში გათამაშდა. კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ:

2002-2004 წლებში დაბადებულნი

ხმალი. გოგონები. სალომე გოგუა (თბილისი), **ვაჟები.** ლუკა ლომინაძე (აფხაზეთი),

რაპირა. გოგონები. ნატალია ხარაიშვილი (აფხაზეთი), **ვაჟები.** ირაკლი მიქელაძე (აჭარა),

დაშნა. გოგონები. ვლადა აბაევა, **ვაჟები.** გერმან სიდაევი (ორივე-რუსეთი),

2005-2007 წლებში დაბადებულნი

ხმალი. გოგონები. ტელი ჯაფაროვა (აზერბაიჯანი), **ბიჭები.** ალექსანდრე თავართქილაძე (თბილისი-აფხაზეთი),

რაპირა. გოგონები. მარიამ მჭედლიძე, **ბიჭები.** ლუკა რამიშვილი (ორივე-თბილისი),

დაშნა. გოგონები. ამინა ზასეევა (რუსეთი), **ბიჭები.** გიორგი ცაციაშვილი (თბილისი),

გივი გაგუა

◎ ფეხბურთი

პირველი მერცხალი

2005-2006 წლების ჩემპიონთა ლიგის სეზონში ლონდონის „არსენალმა“ ერთი შეხედვით დაუმხობელი რეკორდი „გამოაცხო“ – 995 წუთის განმავლობაში გოლი არ გაუშვა. მოგეხსენებათ, რეკორდი იმისთვის მყარდება, რომ ადრე თუ გვიან გაუმჯობესდეს, მაგრამ...

წლეულს ტურინის „იუვენტუსის“ ლეგენდარულმა მეკარემ ჯანლუიჯი ბუფონმა, რომელსაც, სხვათა შორის, ჯერაც არ მოუგია ყველაზე პრესტიჟული ევროტურნირი, წარმატებით დაიწყო უკვე საკმაოდ მოძველებული მიღწევის შტურმი, მაგრამ მისმა მშრალმა სერიამ „მხოლოდ“ 690 წუთს გასტანა. დაგვეთანხმებით, ამით უბერებელი ვეტერანის შთამბეჭდავ კარიერას, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონობა ამშვენებს, ბევრი არაფერი დაჰკლებია – „ბებერი ქალბატონი“ ფინალშია!

„იუვენტუსი“ – „მონაკო“ 2:1 პირველი მატჩი 2:0

გოლები: მანჯუკიჩი (33-ე წთ), დანი ალვეში (44-ე წთ), მბაპე (69-ე წთ).

ღირსეულ მეტოქეთა საპასუხო რაუნდს, დარწმუნებულნი ვართ, მთელი საფეხბურთო სამყარო ადევნებდა თვალს, ამიტომ მოკლედ მოვჭრით: მასიმილიანო ალეგრის გუნდმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა საკუთარი ამბიციების საფუძვლიანობა და დამსახურებულად გახდა პირველი ფინალისტი.

ისე, საამაყოდ მონტეკარლოელთა ჭაბუკ ბომბარდირ კილიან მბაპესაც აქვს საქმე, რომელმაც სიტყვა შეასრულა და არშემდგარ რეკორდსმენს გაუტანა ბურთი.

გიორგი ზოთაძე

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს გიორგი გაბრიელაშვილის და ომარ ზაქაიძის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** გიორგი გაბრიელაშვილი (პ/ნ 16001026635), დუშეთი, დასახლება რადიოსადგური №5, კორპუსი 2, ბინა №9;

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

დუშეთი, დასახლება რადიოსადგური №5, კორპუსი 2, ბინა №9 (საკადასტრო კოდი: 71.56.11.018.01.009).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ომარ ზაქაიძე (პ/ნ 65404000594), დუშეთი, ერეკლე II ქუჩა №109.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

დუშეთი, ერეკლე II ქუჩა №109 (საკადასტრო კოდი: 71.51.02.286).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

3. **აუქციონის ფორმა:** უძრავი ნივთების გაყიდვა ხდება ერთ ლოტად.
4. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 20472.33 ლარი.
5. **აუქციონის დაწყების დრო:** 2017 წლის 25 მაისი, 16:00 საათი;
6. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
7. **მოვალე:** ი/მ „ლევან სალუქვაძე“ (პ/ნ 33001026225), ოზურგეთი, სოფელი ძიმითი; თბილისი, გლდანის მე-4 მ/რ, 110ა კორპუსი, ბინა №35;
ნუგზარ შარაბიძე (პ/ნ 23001000020), თბილისი, გლდანის მე-3 მ/რ, კორპუსი 13, ბინა №35;
გიორგი ზაქაიძე (პ/ნ 16001007053), დუშეთი, ერეკლე II ქუჩა №109;
შპს „გაბრო“ (ს/კ 429320727), დუშეთი, მწითურის 49;
შპს „ულუ“ (ს/კ 437062081), ოზურგეთი, სოფელი ძიმითი; თბილისი, გლდანის მე-4 მ/რ, 110ა კორპუსი, ბინა №68.
8. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5;
9. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 25 მაისის 16:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, შარტავას ქ. №30, მე-2 სართული, ბინა №5.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ხათუნა ჟღენტის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ხათუნა ჟღენტი (პ/ნ 33001044913), ოზურგეთი, მეცნიერების ქ. №14, სართული 2, ბინა №3.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ოზურგეთი, მეცნიერების ქ. №14, სართული 2, ბინა №3 (საკადასტრო კოდი: 26.26.17.010.01.003).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 9027.80 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 11 მაისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 29 მაისი, 14:00 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP43568917;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 435689
6. **მოვალე:** ვასილ კახელიშვილი (პ/ნ 01008036877), თბილისი, დ. წყნეთი, დ. აღმაშენებლის ქ. №2ა.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP43568917; ლოტის ნომერი: 435689).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 29 მაისის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ბესარიონ გახუტიშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ბესარიონ გახუტიშვილი (პ/ნ 08001035353), ახმეტა, სოფელი აწყური.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

ახმეტა, სოფელი აწყური (საკადასტრო კოდი: 50.02.34.052).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 15896.30 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 11 მაისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 29 მაისი, 14:45 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP43579817;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 435798
6. **მოვალე:** ბესარიონ გახუტიშვილი (პ/ნ 08001035353), ახმეტა, სოფელი აწყური; თელავი, კურდღელაშვილის I შესახვევი №5;
ანი დარჩიაშვილი (პ/ნ 08001035828), ახმეტა, სოფელი კოღოთო;
შოთა იმერლიშვილი (პ/ნ 12001079332), ახმეტა, სოფელი კოღოთო.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP43579817; ლოტის ნომერი: 435798).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 29 მაისის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა
აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს რომან მებონიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** რომან მებონია (პ/ნ 01027030434), თბილისი, 3 მასივი, ზემო პლატო, კორპუსი 48, ბინა 53.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:

თბილისი, დასახლება ვარკეთილი, ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის ქ. №7, სართული 6, ბინა 38 (საკადასტრო კოდი: 01.19.20.020.036.01.01.038).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 63871.41 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 11 მაისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 29 მაისი, 14:15 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP43569917;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 435699
6. **მოვალე:** რომან მებონია (პ/ნ 01027030434), თბილისი, 3 მასივი, ზემო პლატო, კორპუსი 48, ბინა 53.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (განაცხადის №71271HZP43569917; ლოტის ნომერი: 435699).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 29 მაისის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

ორ კარში თამაში უმსაჯოდ,



ანუ ღაჭავა-კოდუების კლანი – „ქართუს“ „პარტნიორი“?

ცოტა გვეუხერხულება სიტყვა „სასამართლოს“ ასე, ბრჭყალებში მოხსენიება, მაგრამ შვიდი-რვა წლის წინანდელი ამბავი გამახსენდა, რომელიც ძალიან წაგავს ერთ სასამართლო ბატალიას: **რამდენიმე წლის წინათ საგადასახადო უწყების ხუთი თანამშრომელი დააკავეს კორუფციის ბრალდებით. პრეზიდენტმა სააკაშვილმა, აქაოდა, ნახეთ, როგორ ვებრძვით დანაშაულსო, – გადაწყვიტა, ეს ფაქტი თვითონვე გაეხმაურებინა. ახლა ძნელი სათქმელია, მან ვერ წაიკითხა სწორად თუ ცნობის მიმწოდებლებს შეეშალათ და ბატონმა მიხეილმა ჟურნალისტების წინაშე ხუთის ნაცვლად – შვიდი დავაკავეთო, განაცხადა! შეგეშალაო, ამის თქმას ვინ გაუბედავდა?! ჩვენ შევცდითო, ასეთ აღიარებას, კაცმა არ იცის, როგორი რისხვა და მეხი მოჰყვებოდა მისგან! ამიტომ სასწრაფოდ მოძებნეს „იოლი“ გზა და გამოსავალი: იმავე ღამეს, დარჩენილი“ ორი „დამნაშავეც“ დააპატიმრეს. სასამართლოსაც „რა უნდა ექნა“, სხვებთან ერთად, ორთვიანი წინასწარი პატიმრობა ორივეს აჰკიდეს.**

ასეთ ცინიზმს წლები ვერ ჩრდილავს! მით უფრო, როცა იმ დროიდან უამრავი გასასწორებელი „ძაღლის კუდი“ მოგვყვება და მათ შორის, ეს ფაქტიც, რომლის შესახებ ერთხელ უკვე ვწერდით.

„2007 წლის თებერვალში სასტუმრო „საქართველოში“ განთავსებულ შპს „მასვალოს“ და „მასპინძელს“ მაშინდელი სოდ-ი მიადგა და ობიექტზე რვათვიანი რევიზიით ჩაჯდა. შესვლის მიზეზი მხოლოდ ფინანსური რევიზია რომ არ იყო, მოგვიანებით, ზაფხულში „გაამხილეს“, როცა სოდ-ის უფროსის ერეკლე კოდუას ძმა დავით კოდუა და დედამისი ლაურა ღაჭვა აქაურ დამფუძნებლებს „პოტენციურ“ მყიდველებად მოევლინნენ. ლაურა ღაჭავამ „მოახერხა“ და ორი წლის ბრძოლის შემდეგ შპს „საქართველოს“ მფლობელად დარეგისტრირდა, მაგრამ ყველაფერს „წილების დათრევის“ ჩვეული მეთოდი უძღოდა წინ: დაატიმრეს გასხვისებაზე გაჯიუტებული ქონების რამდენიმე მფლობელი და დამფუძნებელი. დანარჩენებს სოდ-მა საქმიანობა შეუზღუდა. გათვლა მარტივი იყო: როცა იძულებით გაჩერებული საწარმო არც ბიუჯეტს აძლევს რამეს და არც ოჯახში შედის რამე, პატრონი იძულებული ხდება, ან ყველაფერზე თქვას უარი, ანდა „მყიდველის“ შემოთავაზებულ თეთრებს დათანხმდეს. ასეც მოხდა.

მაგრამ ყველაფერი ამით არ დამთავრებულა. 2007 წლიდან დღემდე მთლიანად განიავდა აქაური ქონება. მოძალებულმა ფინანსურმა ვალდებულებებმა პრობლემას პრობლემა მიამატა. ოჯახურმა კლანმა „პარტნიორები“ აიძულა, მის სასარგებლოდ დაეთმოთ აქამდე შემორჩენილი წილები, რის შემდეგაც შპს „საქართველოს“ მართვის საკონტროლო პაკეტი – 89 პროცენტი მათ ხელში აღმოჩნდა. დანარჩენი – გურამ ახრახაძის კუთვნილი წილი, დიდად აღარ აღელვებთ. გაყიდვის შემთხვევაში 89 პროცენტის მფლობელი ახალი პატრონი მას ძალზე იოლად „დაითრევს“, თუნდაც საწესდებო კაპიტალის გაზრდის ხარჯზე. ამ შემთხვევაში პატრონი ან სულ დაკარგავს, ანდა, იმ 11 პროცენტის გასხვისებას დაყაბულდება. ესეც წინასწარ „სწორად“ გათვლილი და გააზრებულია.

სხვათა შორის, ეს ის გურამ ახრახაძეა, რომელმაც, წლების მანძილზე საკუთარი ფირმის შესახებ ინფორმაციულ ვაკუუმში მყოფმა, **საჯარო რეესტრში გაარკვია, რომ 2013 წლის ნოემბერში(?!) შპს „საქართველოს“ კუთვნილი შენობა, მიწის ნაკვეთთან ერთად ქალბატონ ლაურა ღაჭავას ერთპიროვნული, პარტნიორებთან შეუთანხმებელი გადაწყვეტილებით მთლიანად დაიტვირთა იპოთეკით „ქართულ ბანკიდან“**

მიღებული(?!) 8.5 მილიონი აშშ დოლარის სანაცვლოდ.

ამას ცინიზმი აღარ ჰქვია!

აი, ამის შემდეგ დაიწყო ის, რასაც ჩვენ „სკანდალს“ ვუწოდებთ, მაგრამ თავისი არსით კომედიაა: სხვადასხვა ინსტანციის 6 სასამართლოსა და, რაც მთავარია, საapელაციო სასამართლოს პრინციპულმა პოზიციამ შპს „საქართველოს“ აუქციონზე გატანა შეაჩერა. მანამდე კიდევ ერთი საყურადღებო ფაქტი: ძალზე საინტერესოა, რომ **„ქართუ ბანკიდან“ მიღებული ფული ლაურა ღაჭავამ იპოთეკით დატვირთული საკუთარი ქონების, „კავკასიის უძრავი ქონების ჯგუფის“ გამოსასყიდად სჭირდებოდა. მიიღო კიდეც, ოღონდ ისე, რომ ამ თანხიდან შემდგომში შპს „საქართველოს“ ერთი თეთრიც არ მოხმარებია. დღემდე, არც ამ ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმე დაძრულა ადგილიდან.**

მთელი ამ საქმის კომიზმი კი (თუმცა, სასაცილო ნამდვილად არაფერია) ის არის, რომ სასამართლოში ჩივილით გურამ ახრახაძე უნებლიეთ, თავისი ქონების უკანონოდ დამგირავებლის ლაურა ღაჭავას „მოკავშირედ“ და მხსნელად იქცა! როგორ და, ახრახაძის სარჩელის დაკმაყოფილების შემდეგ, როცა იგი დაზარალებულად ცნეს (მისი წილი ქონება მისი ნებართვის გარეშე დაყადაღდა), „ბანკ ქართუს“, ღაჭავას ვალის გადაუხდელობის გამო, ქონების ჩამორთმევაზე აღსრულება შეუჩერდა! ასეთმა „მოკავშირეობამ“ სასამართლო დავის მომგებ ახრახაძეს ის მოუტანა, რომ აქამდე ბატონი გურამი რჩება თავისი უკანონოდ დაყადაღებული ქონების ამაო მომლოდინედ“.

ათასჯერ გავიმეორებ: **მხოლოდ ჩვენში შეიძლება, წაგებული დარჩეს სასამართლო დავის მომგები მიუხედავად იმისა, რომ საქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის მიხედვით, მოსარჩელემ (ახრახაძემ) მტკიცების ყველა გარემოება უტყუარად დაადასტურა!**

ვინ არიან ღაჭავა-კოდუები, ქვეყანამ იცის! წლების მანძილზე ძარცვავდნენ ხალხს ერთადერთი ნაცადი ხერხით!

მერე? მოჰკითხა ვინმემ რამე?

დღეს, როცა საზოგადოება სვამს (თანაც გახშირებული რეჟიმით) კითხვას, რა შეიცვალაო, უპირველესად სახელმწიფოსგან სამართალთან სწორი ურთიერთობა და წლების მანძილზე დაუსჯელ უსამართლობასთან ანგარიშსწორება აქვს მხედველობაში და არა ნახევარსიმართლე. მთლიანი სიმართლე კი ის არის, რომ **სასამართლოს, შეჩერებასთან ერთად, ბათილად უნდა ეცნო უკანონოდ გაფორმებული (რაც უკანონოა ბათილია) დოკუმენტი. მეტიც, ამ აშკარა სიყალბეზე, როგორც აღვნიშნეთ, სისხლის სამართლის საქმეც უნდა აღძრულიყო.** რა უნდა ვიფიქროთ, როგორ უნდა მოვიქცეთ? გვინდა თუ არა, ისევ ძველებურად ვიმსჯელოთ? ისევ ძველებურად გვღრღნიდეს ეჭვი, რომ, **შეგნებულად თუ შეუგნებლად, პროცესებს ისევ გავლენიანი სტრუქტურებისა და გვარების წინაშე (თუნდაც მათი აქტიური ჩარევის გარეშე) ქვეცნობიერი შიში მართავს?** რა დასამალია და, სიტყვა „ქართუ“ დღეს ის მაგიური ძალაა, რომელმაც რომელიმე „კანონის კაცს“ გულში შეიძლება აფიქრებინოს: დანაშაული დანაშაულად, მაგრამ აუტკივარი თავი რატომ უნდა ავიტკიოო!

სხვა ლოგიკას არავინ გვიტოვებს. ფაქტია, რომ ბანკისგან გაცემული სესხი, რომელიც შპს „საქართველოს“ განვითარებას უნდა მოხმარებოდა, ღაჭავამ ამავე ბანკში ადრე დაგირავებული საკუთარი ქონების („კავკასიის უძრავი ქონების ჯგუფი“) დასახსნელად გამოიყენა. სესხის არამიზნობრივი გამოყენების გამო ფინანსურმა პოლიციამ სისხლის სამართლის საქმე აღძრა. ამ დროს, გინდა თუ არა, ადამიანი იკითხავ: **რა ინტერესი ამოძრავებდა „ქართუ ბანკის“ მაშინდელ ხელმძღვანელებს, როცა ღაჭავას დათმობის ხელშეკრულებას უფორმებდნენ! ესეც და ზოგიერთი სხვა რამეც სასამართლოს გასარკვევია. იმის თქმის უფლებას კი, რომ მაშინ „ქართუ ბანკის“ ხელშეწყობის გარეშე ღაჭავა ვერას გახდებოდა, ბოლომდე ვიტოვებთ!**

ერთი, დიდი ხნის წინანდელი, სანუკვარი სურვილი აქვს ჩვენს საზოგადოებას: დაძახილზე – „გთხოვთ, ადგეთ, სასამართლო მოდის“ – ადამიანი ზრდილობის გულისთვის კი არა, სახელმწიფოს, კანონისა და ობიექტური სასამართლოს პატივისცემის გამო უნდა დგებოდეს ფეხზე – იმის მიუხედავად, ვის ვისთან აქვს სადაო!

მერაბ გუგუნაძე

განცხადება აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306[1]6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს ივანე გაგუნაშვილის საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრე:** ივანე გაგუნაშვილი (პ/ნ 08001031337), ახმეტა, ბ. ჩოლოყაშვილის ქ. №6.
უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. ახმეტა, ჩოლოყაშვილის ქუჩა (საკადასტრო კოდი: 50.04.42.310).
უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავი ნივთი არ არის დატვირთული გარდამავალი სანივთო ვალდებულებებით.
2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 21969.80 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების თარიღი:** 2017 წლის 11 მაისი, 14:00 საათი.
4. **აუქციონის დასრულების თარიღი:** 2017 წლის 29 მაისი, 14:30 საათი.
5. **აუქციონის ჩატარების ფორმა:** ელექტრონული აუქციონი ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge.
5.1. **ელექტრონული აუქციონის მონაცემები:** განაცხადის №71271HZP43575317;
აუქციონის ნომერი: 71271
ლოტის ნომერი: 435753
6. **მოვალე:** დავით გაგუნაშვილი (პ/ნ 08001005552), ახმეტა, ბ. ჩოლოყაშვილის ქ. №6;
ივანე გაგუნაშვილი (პ/ნ 08001031337), ახმეტა, ბ. ჩოლოყაშვილის ქ. №6;
ლალი ონიაშვილი (პ/ნ 08001003687), ახმეტა, ბ. ჩოლოყაშვილის ქ. №6.
7. **აუქციონის გამომცხადებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართი:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31.
8. **აუქციონის პირობები:**
   - აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
   - მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
   - აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი – ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
   - აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.
9. **აუქციონის პირობები:** გამოქვეყნებულია ინტერნეტ მისამართზე www.eauction.ge (**განაცხადის** №71271HZP43575317; ლოტის ნომერი: 435753).

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2017 წლის 29 მაისის 10:00 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

ს.ს.ი.პ - გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

ობიექტი № 1

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს. გ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის ჭალა-კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით. დ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, გზის დაზიანების შემთხვევაში, მოახდინოს მისი აღდგენა-რეაბილიტაცია. ე) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ზ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. ზუმის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხობისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება, (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 178 500 მ^3).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. ზუმის მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	23 934 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	2393,4 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%)	12 167 ლარი
	თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 15 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 11 ივნისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 11 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 11 ივნისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 2

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 2 43 95 57 ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით. ბ) მოპოვება უნდა განხორციელდეს მდინარის ჭალა-კალაპოტის გასწორხაზოვნების მიმართულებით. გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „ელექტრული ქსელების ხაზობრივი ნაგებობების დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №366 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები. დ) გეოდინამიკური სიტუაციის გართულების თავიდან აცილების მიზნით ობიექტის მთელ ფართობზე წელიწადში ინერტული მასალის მოპოვების სიღრმე (სიმძლავრე) არ უნდა აღემატებოდეს 1,5 მ-ს. ე) საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს წყალსადენის d=400მმ. მაგისტრალისთვის ნაპირდაცვითი ღონიძიების ჩატარება. ვ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. შახვეტილას მიმდებარე ტერიტორია, მდ. ილტოს ქვიშა-ხრეშის საბადო, (კატეგორია P+C$_1$ მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა - 7 050 მ^3).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ახმეტის მუნიციპალიტეტი, სოფ. შახვეტილას მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	1 226 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	122,6 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50%) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	813 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 15 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 11 ივნისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 11 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 11 ივნისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	1 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 3

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება		ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო
1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი წიაღით სარგებლობის პროექტის მიხედვით. ბ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია დაიცვას „მაგისტრალური მილსადენების (ნავთობის, ნავთობპროდუქტების, ნავთობის თანმდევი და ბუნებრივი გაზის და მათი ტრანსფორმაციის პროდუქტების) დაცვის წესისა და მათი დაცვის ზონების დადგენის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2013 წლის 24 დეკემბრის №365 დადგენილებით გათვალისწინებული მოთხოვნები; გ) ობიექტის დამუშავების დროს მოხსნილი ნიადაგ-თიხნაროვანი გრუნტის ფენა უნდა დასაწყობდეს ტერიტორიის რეკულტივაციის მიზნით, მისი შემდგომი გამოყენებისათვის. დ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის "გარემოს დაცვის შესახებ", „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ" და „წიაღის შესახებ", საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ" საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ" ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს. ე) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). ვ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქეშალოს მიმდებარე ტერიტორია, მდ. მტკვრის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 114 000 მ^3).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	მარნეულის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქეშალოს მიმდებარე ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	15 286 ლარი
9	ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)	1528,6 ლარი
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	7 843 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 15 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 11 ივნისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 11 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 11 ივნისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	5 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ობიექტი № 4

ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება	ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

საფრანგეთის ახალი პრეზიდენტი და საქართველოს ინტერესები

საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურში ემანუელ მაკრონის დამაჯერებელ გამარჯვებას, საერთაშორისო თანამეგობრობასთან ერთად, დიდი კმაყოფილებით შეხვდნენ საქართველოშიც. გასაგებია კმაყოფილების საფუძველიც, რადგან პოლიტიკურ მოძრაობა „წინ“-ის ლიდერის, ცენტრისტი პოლიტიკოსის, 39 წლის ემანუელ მაკრონის გამარჯვება ერთიანი, ძლიერი ევროპისა და ევროინტეგრაციის მომხრეთა გამარჯვებად აღიქმება.

ანალიტიკოსები საფრანგეთში მიმდინარე მოვლენებს საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების ჭრილში განიხილავენ. მათი აზრით, „ნაციონალური ფრონტის“ ლიდერის, ულტრანაციონალისტი პოლიტიკოსის მარინ ლე პენის გამარჯვება, რაც რუსეთის წისქვილზე მიუშვებდა წყალს, საქართველოსთვის ისტორიული შანსის წართმევის მანიშნებელი იქნებოდა, რადგან სერიოზული საფრთხე შეექმნებოდა ქვეყნის წინსვლას ევროკავშირისა და ნატოსკენ მიმავალ გზაზე.

რამდენად ჩავლილად შეგვიძლია ჩავთვალოთ ეს საფრთხე თვალსაწიერ მომავალში?

„დღევანდელი არჩევანით ფრანგმა ხალხმა დაადასტურა თქვენდამი განსაკუთრებული ნდობა და სწრაფვა კეთილდღეობისა და შემდგომი განვითარებისათვის. ეს არის არჩევანი ძლიერი საფრანგეთისა და ძლიერი ევროპის მხარდასაჭერად, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია ჩვენი საერთო ევროპული ოჯახის მომავლისათვის“, – ნათქვამია საქართველოს პრეზიდენტის მისალოც განცხადებაში, რომელიც 7 მაისს გამოქვეყნდა, ძალიან მალე მას შემდეგ, რაც საფრანგეთის საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის პირველი წინასწარი შედეგები გახმაურდა. გიორგი მარგველაშვილი იმედს გამოთქვამს, რომ ემანუელ მაკრონის პრეზიდენტობის პირობებში, კიდევ უფრო გაღრმავდება საფრანგეთისა და საქართველოს შედეგიანი პარტნიორობა.

პოლიტიკური მოძრაობის „წინ“ ლიდერის გამარჯვებას ასევე სწრაფად გამოეხმაურა საქართველოს პრემიერ-მინისტრი: **„ვულოცავ ემანუელ მაკრონს და საფრანგეთს. მოუთმენლად ველი ჩვენ ქვეყნებს შორის თანამშრომლობას და ურთიერთობების შემდგომ გაღრმავებას“,** – დაწერა გიორგი კვირიკაშვილმა 7 მაისს, ღამით, Twitter-ზე.

საერთაშორისო თანამეგობრობის მხარდამხარ, თბილისის კმაყოფილება სავსებით გასაგებია ანალიტიკოსებისთვის და ეს იმის გათვალისწინებით, რომ ცენტრისტი ემანუელ მაკრონი ერთიანი, ძლიერი ევროპის იდეას უჭერს მხარს და კრიტიკულად აფასებს რუსეთის ფედერაციის პოლიტიკას, ხოლო ულტრანაციონალისტ მარინ ლე პენის რიტორიკა და მიზნები დიდწილად ემთხვევა მოსკოვის მიზნებსა და მისწრაფებებს. მარინ ლე პენი მხარს უჭერს, მაგალითად, ევროკავშირიდან საფრანგეთის რაც შეიძლება მალე გასვლას, ევროკავშირისა და ნატოს დასუსტებას და რუსეთის წინააღმდეგ 2014 წელს ყირიმის ანექსიის გამო დაწესებული სანქციების გაუქმებას. ამ შინაარსის განცხადება მარინ ლე პენმა გააკეთა, მაგალითად, მარტში, მოსკოვში პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან შეხვედრის შემდეგ: „რასაკვირველია, მიზნად დავისახავდი სანქციების რაც შეიძლება მალე გაუქმებას იმის იმედითა და იმ პირობით, რომ, თავის მხრივ, რუსეთიც გააუქმებს სანქციებს, რომლებიც, მაგალითად, საკვები პროდუქტების იმპორტზე შემოიღო“. (...)

როგორც „აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტის“ (EWMI) წარმომადგენელმა ნოდარ ტანგიაშვილმა აღნიშნა 8 მაისს რადიო „თავისუფლების“ პროგრამა „დილის საუბრებში“ სტუმრობისას, რუსეთი იმედგაცრუებულია, რადგანაც მოსკოვი ცდილობდა, მაგრამ მას შედეგი ვეღარ მოუტანა აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნების დროს აპრობირებული კიბერთავდასხმათა მეთოდების საფრანგეთში გამოყენების მცდელობამ.

თუმცა ანალიტიკოსი ზაალ ანჯაფარიძე ჩვენთან საუბრისას ამბობს, რომ რუსეთში ამ ეტაპზე არც ჰქონდათ ილუზიები მარინ ლე პენის გამარჯვებასთან დაკავშირებით, რადგან საფრანგეთში ჯერჯერობით ისევ მძლავრია პოლიტიკური მექანიზმები, რომლებიც არ დაუშვებენ რადიკალი პოლიტიკოსის მოსვლას ქვეყნის სათავეში. არადა, ნაციონალისტური იდეების მქადაგებელი ულტრარადიკალი ლიდერის გამარჯვება ნამდვილად მოსკოვის წისქვილზე მიუშვებდა წყალს: **„რუსეთს აწყობს ევროკავშირის დასუსტება და დეზინტეგრაცია; რუსეთს აწყობს ისეთი პოლიტიკოსები, რომლებიც სკეპტიკურად არიან განწყობილი ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების ნატოში გაწევრიანების მიმართ; რუსეთს აწყობს, რადგან მას ყოველთვის ეყოლება ევროპაში თავისი ერთგვარი ლობი... ბევრი მიზეზი არსებობს, რატომაც შეიძლება, აწყობდეს რუსეთს. რუსეთი ყოველთვის, სადამდეც მას თავისი რესურსი ეყოფა, ევროპაში მოძებნის მისდამი ლოიალურად განწყობილ პოლიტიკოსებს, როგორიც არის, თუნდაც, მაგალითად – მარინ ლე პენი“.**

ის, რაც მომგებიანია რუსეთისთვის, პირდაპირ უპირისპირდება საქართველოს მნიშვნელოვან ინტერესებს. როგორც საქართველოს ყოფილმა ელჩმა საფრანგეთში მამუკა კუდავამ უთხრა რადიო „თავისუფლებას“, თუკი მარინ ლე პენი დაიკავებდა საფრანგეთის პრეზიდენტის პოსტს და წინასაარჩევნო დაპირებებს შეასრულებდა, ეს მნიშვნელოვნად დააზარალებდა საქართველოს ინტერესებსაც: **„თუკი საფრანგეთი გავიდოდა შენგენიდან, ევროზონიდან და ევროკავშირიდან, რა თქმა უნდა, ევროკავშირი ნაკლებად მიმზიდველი გახდებოდა არა მხოლოდ ჩვენთვის, არამედ ყველასათვის... ნაკლები იქნებოდა საქართველოს მიმზიდველობა იმ კომპანიებისთვის, რომლებიც შეიძლება საქართველოში შეიქმნას ან იქმნება იმ მიზნით, რომ მერე თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმით ისარგებლონ და ევროკავშირის 500-მილიონიან ბაზარზე გაიტანონ საქართველოში ნაწარმოები პროდუქცია. მნიშვნელობა არა აქვს, ეს აზიური თუ სადაური ინვესტიციები იქნებოდა... ეს იმოქმედებდა თავისუფალ მიმოსვლაზეც. კი, შენგენის სხვა ქვეყნებში ჩავიდოდით, მაგრამ ვერ ჩავიდოდით საფრანგეთში. ეს ყველაფერი პრესტიჟის და იმიჯის მომენტიც არის და ეს ფაქტორი ძალიან ცუდად იმოქმედებდა ჩვენზე, რომ აღარაფერი ვთქვათ, საერთოდ, ევროკავშირსა და ნატოში საქართველოს წევრობაზე - ეს საკითხები კიდევ უფრო ჩაიჩოჩებდა და არააქტუალური იქნებოდა. მართალია, ეს არ არის დღეს და ხვალ გადასაწყვეტი საკითხები, მაგრამ ამ საკითხების საერთოდ გაქრობა, პრინციპული უარის მიღება, რა თქმა უნდა, არ შეესაბამება ჩვენს ინტერესებს“.**

ანალიტიკოსები ფიქრობენ, რომ მართალია, ემანუელ მაკრონმა 7 მაისს არჩევნების მეორე ტურში დიდი უპირატესობით გაიმარჯვა, მაგრამ ულტრანაციონალისტური ტენდენციების საფრთხე არ გამქრალა და თვალსაწიერ მომავალში მან, შესაძლოა, ახალი ძალით იჩინოს თავი. ასეთი პროგნოზის წინაპირობად განიხილება ულტრანაციონალისტური იდეებისა და კონკრეტულად მარინ ლე პენის მისამართით გამოვლენილი მზარდი მხარდაჭერა. ზაალ ანჯაფარიძის თქმით, **„სამომავლო გამარჯვების იმედით, რუსეთი მარინ ლე პენს ხელს არ გაუშვებს და გააგრძელებს მასთან მუშაობას“.** მამუკა კუდავას აზრით კი, ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, თუ რამდენად წარმატებული პრეზიდენტი იქნება ემანუელ მაკრონი და რამდენად შეძლებს ის ქვეყნის წინ წაწევას, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური განვითარების მიმართულებით.

„RFE//RL“ (აშშ)

1	საიდენტიფიკაციო ნომერი	204 559 691
2	მისამართი/ტელეფონი	ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57 ქ. ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725
3	ელ–ფოსტა	Licenziebi2015@gmail.com
4	სარგებლობის ლიცენზიის სახე	სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია
5	სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის	ა) მოპოვებული მიწისქვეშა მტკნარი წყლის რაოდენობრივი აღრიცხვა წარმოებს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის ჩვენების მიხედვით. ამ მიზნით ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია შეიძინოს, დაამონტაჟოს, შეაკეთოს, შეცვალოს აღრიცხვის კვანძის მოწყობისათვის საჭირო მრიცხველი, საჭიროების შემთხვევაში, სხვადასხვა სახის მოწყობილობები, დანადგარები და სხვა საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფს აღრიცხვის სისტემის გამართულ მუშაობას და დაიცავს მას უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან; ბ) აღრიცხვის კვანძის მოწყობის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა ეცნობოს უფლებამოსილ ორგანოს, რომელიც უზრუნველყოფს მრიცხველზე ლუქის დადებას; გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება განახორციელოს დამონტაჟებული და დალუქული მრიცხველის მეშვეობით. ამასთან, მრიცხველი და, შესაბამისად, აღრიცხვის კვანძის შემადგენელი სხვა სახის ელემენტები (დანადგარები) უნდა იყოს დაცული მათ მუშაობაში უკანონო (არასანქცირებული) ჩარევისაგან, რათა არ მოხდეს მრიცხველის ჩვენების შეცვლა ან სხვა სახის ხელყოფა. აგრეთვე, ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია, არ დაუშვას მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება მრიცხველის გვერდის ავლით ან მის გარეშე; დ) აღრიცხვის კვანძი უნდა შეესაბამებოდეს საქართველოში მოქმედ ტექნიკურ რეგლამენტებსა და სტანდარტებს. აღრიცხვის კვანძი უნდა მოეწყოს ისე, რომ დაინტერესებულ პირს ჰქონდეს მრიცხველის ჩვენების აღების საშუალება; ე) ლუქის დადებას და შესაბამისი აქტის შედგენას ლიცენზიატის ან მისი წარმომადგენლის თანდასწრებით ახორციელებს საამისოდ უფლებამოსილი პირი; ვ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია უზრუნველყოს ჭის თავმორთულობის მოწესრიგება. ზ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით). თ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.
6	სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფ. დიმის ტერიტორია, მიწისქვეშა მტკნარი წყალი (სამეწარმეო დანიშნულებით, კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის მოცულობა - 365 $მ^3$/წელიწადში).
7	სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა	ბაღდათის მუნიციპალიტეტი, სოფ. დიმის ტერიტორია
8	აუქციონის საწყისი ფასი	12 ლარი
9	ბიჯის სიდიდე	1,2 ლარი
	(საწყისი ფასის 10 %)	
10	უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ბეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი	206 ლარი
11	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაცია იწყება 2017 წლის 15 მაისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 11 ივნისს დღის 18:00 საათზე
12	აუქციონის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი	ელექტრონული აუქციონი იწყება 2017 წლის 11 ივნისს დღის 12:00 საათზე და დასრულდება 2017 წლის 11 ივნისს დღის 18:00 საათზე
13	სარგებლობის ლიცენზიის მოქმედების ვადა	25 წელი
14	სხვა მონაცემები	აუქციონზე დაფიქსირებული საბოლოო თანხის გადახდა გამარჯვებულმა უნდა განახორციელოს აუქციონის დასრულებიდან არაუგვიანეს 15 კალენდარული დღის ვადაში

ხსოვნა

ავთანდილ საყვარელიძე

გარდაიცვალა ავთანდილ საყვარელიძე – საზოგადო მოღვაწე, უაღრესად ერუდირებული, თავისი თაობის ერთ-ერთი გამორჩეული პიროვნება. მრავალმხრივი იყო მისი მოღვაწეობის სფერო – მუშაობდა სხვადასხვა სახელმწიფო და პარტიულ თანამდებობებზე, მათ შორის, 1978-1980 წლებში იყო აფხაზეთის ასსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე.

ბატონმა ავთანდილმა დიდი ამაგი დასდო ქართულ ენციკლოპედიას. 1986-1992 წლებში იყო ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მთავარი რედაქტორის მოადგილე, 1992 წლიდან 2006 წლამდე – ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქციის მთავარი რედაქტორი, 2006 წლიდან გარდაცვალებამდე კი – მთავარი რედაქტორის მრჩეველი. ენციკლოპედიური საქმიანობის უზადო მცოდნე, პასუხისმგებლობით აღჭურვილი პროფესიონალი, მომთხოვნი და, ამავე დროს, თანამშრომლებზე მუდამ მზრუნველი, მათი დამსახურებული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდა. ქვეყნისთვის მეტად მძიმე დროს მთავარმა სამეცნიერო რედაქციამ ბატონი ავთანდილის ხელმძღვანელობით გამოსცა ენციკლოპედია „საქართველოს“ I ტომი (1997), ენციკლოპედია „თბილისი“(2002), წიგნი „ირაკლი აბაშიძე – 90“, განმარტებით და ორთოგრაფიულ ლექსიკონთა სერია.

თავისი ცხოვრების გზა მან თავადვე ასახა 2016 წელს გამოცემულ ავტოგრაფიულ წიგნში.

ავთანდილ საყვარელიძის საქმიან და უტყუარ რჩევას თანამშრომლებისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ბატონი ავთანდილის გარდაცვალება მძიმე დანაკლისია ქართული ენციკლოპედიისა და საზოგადოებისათვის.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია
ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის
სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია და ქართული ენციკლოპედიის მთავარი სამეცნიერო რედაქცია ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწე, ქართული ენციკლოპედიის ყოფილი მთავარი რედაქტორი

ავთანდილ საყვარელიძე

და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.
დაკრძალვა 11 V, 15 სთ.
მისამართი: სულხან ცინცაძის ქ. 35 (ყოფილი საბურთალოს 35), I სად., IV სართ.

ვიქტორია სირაძე, ნათელა ვასაძე, ნელი გურგენიძე, ლია ლომიძე, ნათელა ლაღიძე, დალი ბოჯგუა, მადონა მგელაძე, ლამარა გაგუა უღრმეს მწუხარებას გამოხატავენ მეგობრისა და კოლეგის, გამოჩენილი საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწის, თაობისა და ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო, ღირსეული წარმომადგენლის, სამაგალითო მამულიშვილის

ავთანდილ საყვარელიძის

გარდაცვალების გამო და თანაუგრძნობენ მის ოჯახს, ნათესავებს, მეგობრებს.

ალექსანდრე და პეტრე ჩხეიძეები ოჯახებით ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა უახლოესი ადამიანი

ავთანდილ საყვარელიძე

განსაკუთრებულად მოყვარული და თბილი პიროვნება, არაჩვეულებრივი მეგობარი და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

პროფესორ გივი მინდელის საზოგადოების წევრები რევაზ თევზაძე, დემურ მიქაძე, დათო დათოშვილი, გაიოზ გალდავაძე, ბონდო ქობულია, ივიკო საყვარელიძე, მერაბ მახარაძე, გურამ ახრახაძე, თამაზ ყაჭეიშვილი, როლანდ იოსელიანი, ჯუმბერ გონაშვილი, რევაზ არველაძე, გია მახარაძე, ომარ ცაავა, გია რამიშვილი, ვალერი ვარდოსანიძე, თამაზ გოგინაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ ქართველ საზოგადოებას გამოაკლდა გამოჩენილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, ყოფილი პარტიული ელიტის ცნობილი წარმომადგენელი, ქართული ტრადიციული სუფრის გამორჩეული მეხოტბე და უკეთილშობილესი პიროვნება, ბატონი

ავთანდილ საყვარელიძე

სამძიმარს უცხადებენ ოჯახსა და მის ახლობლებს.

მრავალი წლის უახლოესი მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ჩვენი დროის ერთ-ერთი კოლორიტული პიროვნება, ფრიად ღვაწლმოსილი ქართველი

ავთანდილ საყვარელიძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

თამაზ შილაკაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაეცვალა უახლოესი მეგობარი

ავთანდილ საყვარელიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ვალერი ასათიანი ოჯახით მწუხარებით იუწყება უსაყვარლესი ადამიანის, გამორჩეული პიროვნების

ავთანდილ საყვარელიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დიდ სოფელში შეხვედრამდე!

გარდაიცვალა, ფაშიზმზე გამარჯვების დღეს ფერი იცვალა ავთო საყვარელიძემ – საქართველოში ერთ-ერთმა უსაყვარლესმა ადამიანმა, კოლორიტულმა პიროვნებამ, დიდი ნიჭისა და ნათელი, შემოქმედებითი გონების პატრონმა, არა მარტო უნიკალურმა, ლამაზმა „თამადამ“, არამედ ამაღლებული, სულიერი სიტყვის ოსტამ, ჭეშმარიტმა ინტელიგენტმა, საქართველოს გულწრფელმა, გულითადმა პატრიოტმა...

ეს იყო „ინტერნაციონალისტი“, ნაღდი თბილისელი, ჩინებულად იცოდა ერთგული მეგობრობისა და ურთიერთობის ფასი, „შავ-თეთრის“ გარჩევა ჭირსა და ლხინში.

ავთანდილ საყვარელიძე უბადლო იყო პოლიტიკური მოვლენების შეფასებისას. ის იყო სახელმწიფოებრივად მოაზროვნე და არა კარიერისტი.

ჩემო „პეტროვიჩ“ წავიკითხე შენი წიგნი-ბარათი-ანდერძი „Жизнь и встречи“ – „სიცოცხლე და შეხვედრები“.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი უკვდავი სული!

დიდ სოფელში შეხვედრამდე, ძვირფასო მეგობარო.

ვოვა აბულაძე

ვიტალი ხაზარაძე, დემურ გადელია, პეტრე ბერაია, ელიზბარ ლომინაძე, თენგიზ კალანდაძე, ნუგზარ რუხაძე, ვახტანგ კიკნაძე, ბესიკ კილასონია, გია ციხისთავი იუწყებიან ღირსეული პიროვნების

ავთანდილ საყვარელიძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

ვილენ ალავიძე, ლამარა გაგუა ოჯახით უდიდესი მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა გულითადი მეგობარი, ღირსეული მამულიშვილი, ცნობილი სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწე, უგანათლებულესი, უკეთილშობილესი და უსპეტაკესი პიროვნება

ავთანდილ პეტრეს ძე საყვარელიძე

თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს, ახლობელ-ნათესავებს, მეგობრებს, ყველა იმ ადამიანს, ვინც გულით განიცადა ამ გულანთებული, ალალმართალი, კაცური კაცის გარდაცვალება, ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

გურამ და ლეილა ქაშაკაშვილები თანაგრძნობას უცხადებენ ქალბატონ ელენე სტურუა-საყვარელიძეს მეუღლის

ავთანდილ საყვარელიძის

გარდაცვალების გამო.

ვალერი და ლამარა კანკიები სამძიმარს უცხადებენ ბატონ ვალერი დუნდუას საყვარელი ძმის

თამაზ დუნდუას

გარდაცვალების გამო.

ავთანდილ საყვარელიძის უკვდავება

ძვირფასო ავთანდილ, მეგობარო, ერუდიტო, დიდო კაცო, კეთილსინდისიერად იცხოვრე და იღვაწე სათაყვანებელი საქართველოსთვის. დააკლდები შენს დიდ ოჯახს, მეგობრებს, ქვეყანას, პატარა ნინაკოს – ჩვენს საერთო შვილთაშვილს, შენ ღირსეულად დაამთავრე ამქვეყნიური ცხოვრება და გადახვედი სამარადისოში.

ნათელა და ვახტანგ დავითაიები

ხსოვნა

თსსუ იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ინსტიტუტის დირექტორის ყოფილი მოადგილის, ღვაწლმოსილი მოქალაქის

მიხეილ ქარჩხაძის

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ეთერ ქემერტელიძე დიდი გულისტკივილით იუწყება ბრწინვალე პიროვნების, ერთგული მეგობრის

მიხეილ ქარჩხაძის

გარდაცვალებას და უსამძიმრებს განსვენებულის ოჯახს.

სანთელი

ლიხაურის საშუალო სკოლის (ოზურგეთის რაიონი) 1957-58 სასწავლო წლის კურსდამთავრებულები დარეჯან ჭანიშვილი, იზოლდა დონაძე, ნადია ვასაძე, დარიკო მამინაიშვილი, მზია ურუშაძე, ციალა გორდელაძე, ცისო სიორიძე, სესილია შავიშვილი, მედეა მგელაძე, ჯუმბერ ვაშაყმაძე, რეზო ჭანიშვილი, გაიოზ სალუქვაძე, შოთა სალუქვაძე, ანზორ ურუშაძე, გიზო ჭელიძე, რუდიკო ლომჯარია, ზაურ ცეცხლაძე, ხუტუ ბერაძე, მილორსი ქავთარაძე, რომან სალუქვაძე, მასწავლებელი სიმონ ბებურიშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

ნუნუ ჟორჟის ასული სალუქვაძე-გურგენიძისა.

ვუსამძიმრებთ ოჯახს, თავს ვხრით მისი ადამიანობის წინაშე. უფალ ღმერთს ვთხოვთ, მარადიულ სასუფეველში ამყოფოს მისი სპეტაკი სული.

ხსოვნა

ვახტანგ ცხადაძე თბილისის 53-ე საჯარო სკოლის 1958 წლის კურსდამთავრებულთა სახელით ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული არტისტი, ჭეშმარიტი სახალხო მომღერალი, კაცური კაცი, ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი

ნიკო ჯადუგიშვილი

და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს. პანაშვიდი 11, 12 V, ატენის ქ. 20. გამოსვენება საბურთალოს წმინდა ნინოს ეკლესიიდან 13.V. 14 სთ.

სახელმძღვანელო ტურიზმის ბიზნესის დასაგეგმად

ეკონომიკისა **და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ შემომყვანი ტურიზმის ბიზნესის დასაგეგმად სახელმძღვანელოს მეორე გამოცემის პრეზენტაცია მოაწყო. ღონისძიებას ტურიზმის სფეროს და სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების წარმომადგენლები დაესწრნენ.** „სახელმძღვანელო შემომყვანი ტურიზმის ბიზნესის დასაგეგმად“ ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის კვლევებისა და დაგეგმვის სამმართველომ მოამზადა. სახელმძღვანელო უკვე სხვადასხვა უნივერსიტეტების სასწავლო პროგრამაშია შესული. სახელმძღვანელო ყველასათვის უფასოა. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საიტზე კი სახელმძღვანელოს ელექტრონული ვერსია არის ხელმისაწვდომი.

მხილებულია სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე

სახელმწიფო **უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციული სააგენტოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, სამსახურებრივი გულგრილობის ფაქტზე დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლის ყოფილი წარმომადგენელი ჟინვალის ადმინისტრაციულ ერთეულში შალვა გოგოჭური ამხილეს.**

გამოძიებამ დაადგინა, რომ 2016 წლის ნოემბერში, აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობის დროს, შალვა გოგოჭურმა არაჯეროვნად შეასრულა თავისი სამსახურებრივი უფლებამოსილება, კერძოდ, მასზე განპიროვნებული სამსახურებრივი ბეჭედი და თაბახის ფურცლებზე შესრულებული ხელმოწერები გადასცა მის თანაშემწეს მერი მთიულიშვილს, რომელმაც 700 ლარის სანაცვლოდ დაამზადა სოფლის მეურნეობის პროდუქტის წარმომავლობის სამი ყალბი ცნობა და გადასცა მოქალაქეს, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია. 2016 წლის ნოემბერში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ანტიკორუფციულმა სააგენტომ მერი მთიულიშვილი ქრთამის აღების ფაქტზე დააკავა.

საქმეზე ჩატარებული საგამოძიებო ღონისძიებების შედეგად, შალვა გოგოჭური პასუხისგებაში მიეცა და მას წარედგინა შესაბამისი ბრალდება.

დაისჯებიან ნარკოტიკული საშუალების უკანონოდ შემოტანისთვის

შინაგან **საქმეთა სამინისტროს ქვემო ქართლის პოლიციის დეპარტამენტის მარნეულის რაიონული სამმართველოს და ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ერთობლივად ჩატარებული ოპერატიულ-საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1987 წელს დაბადებული, წარსულში ნასამართლევი გ.კ., ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო შეძენა-შენახვის, გადაზიდვისა და საქართველოში უკანონოდ შემოტანის ბრალდებით, სასაზღვრო პოლიციის მესამე სამმართველოს (წითელი ხიდი) მეექვსე სასაზღვრო სექტორის (სადახლო) დასაცავი მონაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზე დააკავეს.**

სამართალდამცველებმა, დაკავებულის პირადი ჩხრეკისას, 140 აბი „პირალგინი“ ნივთმტკიცებად ამოიღეს, რაც, ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, ნარკოტიკულ ნივთიერება კოდეინის მარილს შეიცავს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულს ნარკოტიკული ნივთიერების შემცველი პრეპარატი საქართველოში სომხეთის რესპუბლიკიდან უკანონოდ შემოჰქონდა.

დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

საბერძნეთში სამი ქართველი ექთანი დააკავეს

საბერძნეთში, დასავლეთ ატიკაში სამი ქართველი ექთანი დააკავეს. ამის შესახებ ინფორმაციას multinews.gr ავრცელებს.

ბერძნული მედიის ინფორმაციით, ისინი კერძო მედდებად ლიცენზიის გარეშე მუშაობდნენ, რის გამოც სახელმწიფო დაზარალდა.

გარდა ქართველებისა, დაკავებულთაგან სამი ალბანელი, ორი ბულგარელი და ორი ბერძენია.

საქმეს ათენის პროკურატურა გამოიძიებს.

საუდის არაბეთში საქართველოს ტურისტულ პოტენციალს გაეცნენ

ეკონომიკისა **და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნულმა ადმინისტრაციამ საუდის არაბეთში საქართველოს შესახებ პრეზენტაციები მოაწყო.**

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის საკონვენციო და საგამოფენო ბიუროს წარმომადგენლებმა, კომპანია flydubai-ის მხარდაჭერით, ქალაქ ჯედასა და რიჰადში შეხვედრები გამართეს. პრეზენტაციებზე საქართველოს ტურისტული პოტენციალისა და საქმიანი ტურიზმის კუთხით არსებული შესაძლებლობების შესახებ ინფორმაცია არაბ ტუროპერატორებს გააცნეს. ღონისძიებებს 100-მდე ტურისტული კომპანიის წარმომადგენელი დაესწრო.

ამასთან, გაიმართა ორმხრივი შეხვედრები სხვადასხვა სააგენტოს ხელმძღვანელ პირებთან, მათ შორის, საუდის არაბეთსა და GCC-ს რეგიონში უმსხვილეს კომპანიებთან. საუდის არაბეთი ერთ-ერთი უმსხვილესი და სწრაფად მზარდი ტურისტული ბაზარია საქართველოსათვის, 2016 წელს საქართველოს საუდის არაბეთიდან 21,000-ზე მეტი საერთაშორისო მოგზაური ეწვია, რაც 116%-ით მეტია 2015 წლის მონაცემებთან შედარებით.

ქართული ციტრუსის ექსპორტს უკრაინელი დიპლომატიც დაეხმარება

აჭარის **სავაჭრო-სამრეწველო პალატის ინფორმაციით, უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში იგორ დოლგოვი აჭარაში მომუშავე ბიზნესმენებს შეხვდა. შეხვედრას ძირითადად ციტრუსის ექსპორტიორი კომპანიების წარმომადგენლები, ტურიზმის სფეროში მომუშავე ბიზნესმენები, უკრაინული რესტორანისა და ბათუმის პორტის ხელმძღავნელები ესწრებოდნენ.**

შეხვედრაზე საუბარი შეეხო უკრაინაში ციტრუსის ექსპორტთან დაკავშირებულ პრობლემებს და ტურიზმის სფეროში ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობას.

ელჩმა ქართველ ექსპორტიორების უკრაინაში ციტრუსის ექსპორტირების საკითხში დახმარება აღუთქვა. გადაწყდა, რომ უკრაინის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩთან შეხვედრა რეგულარულ ხასიათს მიიღებს და ეტაპობრივად გადაწყდება ყველა ის პრობლემა, რომელიც ქართველი ბიზნესმენების უკრაინაში ოპერირებას უკავშირდება.

მოსახლეობის პროტესტი და დაპირისპირება ფასანაურში

ფასანაურში, ხანდოს ხეობის მცხოვრებლები მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზების მონტაჟს აპროტესტებენ და იმ სპეცტექნიკის შეჩერებას ცდილობენ, რომელმაც მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა უნდა დაიწყოს.

ადგილობრივების თქმით, ხეობაში მაღალი ძაბვის გადამცემი ხაზის მშენებლობა ეკოლოგიურ კატასტროფას გამოიწვევს და საფრთხეს შეუქმნის მათ საცხოვრებელ სახლებს.

კომპანია „ენერგოტრანსში“ კი აცხადებენ, რომ 500-კილოვოლტიანი გადამცემი ხაზების მშენებლობა ჯერ არ დაწყებულა და ისინი გარემოს მინიმალურ ზიანს ელოდებიან. დირექტორის მოადგილემ ტექნიკურ საკითხებში ჯემალ ახალაიამ განაცხადა, რომ სამუშაოები ყველა ნორმის დაცვით მიმდინარეობს.

* * *

მოსახლეობას არანაირი უფლება არ აქვს, სოფელ ხანდოსხევში ელექტრომაგისტრალის მშენებლობას ხელი შეუშალოს, — ამის შესახებ საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის მოადგილემ ილია ელოშვილმა ჟურნალისტებს განუცხადა.

„შევხვდი მათ არაერთხელ როგორც ოფისში, ასევე მათთან სოფელში ჩავედი. აქ არის ორი მომენტი, პირველი — ვინც ეწინააღმდეგება ზოგადად ხაზის მშენებლობას მინდა, ვუთხრა მათ, რომ არანაირი ხაზი არ გადადის სახლის სახურავებზე. დაშორებულია 100-150 მეტრით სახლებიდან. არანაირი უფლება არა აქვთ მათ, რომ გააჩერონ მშენებლობა.

„რაც შეეხება კონკრეტულ ადგილს, აქ ჩვენ ისედაც ვაჩერებთ სამუშაოებს ერთი კვირით, სანამ მეთოდოლოგია არ იქნება შემუშავებული. აქ სამუშაოები გაგრძელდება მაშინ, როცა მეთოდოლოგია იქნება. ეს მოხდება, ალბათ, ერთ კვირაში, არის მეთოდოლოგია სპეციალური უბნებისთვის. ყველაფერს აქვს საზღვარი. ჩემი აზრით, ყველანაირი რესურსი ამოწურულია. მაინც ვიმუშავებთ, რათა დარწმუნდნენ, რომ მათ ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება. იქ არიან არასამთავრობოები, რომლებიც მუდმივად ეწინააღმდეგებიან ჩვენ ყველა წამოწყებას, საქმე ეხება პატარა ჰესს, დიდ ჰესს, თუ რამე ხაზის გაყვანას“, — განაცხადა ილია ელოშვილმა.

წერილები მშვიდობისმყოფელებს

პროექტის „წერილები ჯარისკაცებს“ ფარგლებში, ავღანეთში, ბაგრამის საავიაციო ბაზაზე დისლოცირებულმა საქართველოს შეიარაღებული ძალების II ქვეითი ბრიგადის 23-ე ბატალიონის პირადმა შემადგენლობამ საქართველოდან მოსწავლეების წერილები მიიღო. იუსტიციის სამინისტროს სსიპ „დანაშაულის პრევენციის ცენტრმა“ საქართველოს მასშტაბით 45 სკოლიდან 2043 წერილი შეაგროვა, ხოლო ავღანეთში მათი გაგზავნა თავდაცვის სამინისტრომ უზრუნველყო.

მე-4 და მე-5 კლასის მოსწავლეებმა ბარათებთან ერთად ჯარისკაცებს სხვადასხვა საჩუქრებიც გაუგზავნეს და ქართველ ჯარისკაცებს სამშობლოში მშვიდობით დაბრუნება უსურვეს.

„მტკიცე მხარდაჭერის“ მისიაში მონაწილე ქართველმა მშვიდობისმყოფელებმა თბილი წერილებისთვის პატარა მეგობრებს მადლობა გადაუხადეს და საპასუხო ბარათები მოამზადეს, რომლებიც საქართველოში გამოგზავნის შემდეგ ადრესატებს გადაეცემა.

მადლობა!

გულწრფელი მადლობა მინდა, გადავუხადო ფრიდონ თოდუას კლინიკური მედიცინის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის თანამშრომლებს, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორებს თენგიზ გუგეშაშვილსა და ირაკლი ბერიძეს, ანესთეზიოლოგ ვახტანგ შოშიაშვილსა და ცენტრის ექთან, ქალბატონ მაკა ნიკოლაიშვილს იმ უდიდესი ყურადღებისა და პროფესიონალიზმისთვის, რაც ჩემს მიმართ გამოიჩინეს ამავე კლინიკაში ჯერ ოპერაციისა და შემდგომ რეაბილიტაციის დროს.

პატივისცემით
შორენა გვილია

◎ ინტერნეტიდან

„დაანებეთ ჩემს სატრფოს თავი!“

მიუხედავად იმისა, რომ ამ ბოლო დროს გონსალო იგუაინს მწვანე მინდორზე გარჯა ნამდვილად არ დაეწუნება, მასზე მაინც ბევრი ადამიანი ქირქილებს და ამის მიზეზი არა ფეხბურთელის სათამაშო კონდიციები, არამედ მისი აშკარად მომატებული წონა და ცელულიტიანი გვერდების თანთალია. ეს ამბები ძალიან არ მოსწონს გონსალოს გულის სწორს, არგენტინელ მოდელს, სოლედად ფანდინოს, რომელიც ამბობს რომ მისი სატრფო სულაც არაა მსუქანი და ფერხორციანობა მას ხელს არც ფეხბურთის თამაშში უშლის და საწოლშიც ისეთივე ბომბარდირია – როგორიც სტადიონზე.

სოლედადი იგუაინის მზეთუნახავია და, ბუნებრივია, არ ენდომება მის გულის სწორზე და, მით უმეტეს შეყვარებულის გარეგნულ მხარეზე ვინმემ იქილიკოს, მაგრამ ჩვენს თვალებს რა ვუყოთ, რომლებიც აშკარად ხედავენ იგუაინის ხორცების თიმთიმს? ხორცებმოთანთალე ფეხბურთელი კი ჭეშმარიტად უამური სანახავია.

როსტომ რაჭველიშვილი

ნაგვიანევი მშობიარობის სიკეთე

ქალები, რომლებიც დედები პირველად მოწიფულ ასაკში ხდებიან, ღრმა მოხუცებულობამდე უფრო ხშირად ცოცხლობენ, – ესაა ამერიკელ მეცნიერთა ერთ-ერთი ბოლოდროინდელი სენსაციური აღმოჩენა.

ექსპერტები ირწმუნებიან, რომ ქალბატონებს, ვინც ბუნებრივად პირველად 33-37 წლის ასაკში იმშობიარა, ღრმა მოხუცებულობამდე სიცოცხლის ორჯერ მეტი შანსი უჩნდებათ. გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 5 ათასმა ამერიკელმა და დანიელმა ქალბატონმა.

მეცნიერები ვარაუდობენ, რომ ქალს, რომელსაც ასაკში ბავშვის ჩასახვის უნარი აქვს, ჯანმრთელობის უფრო მაღალი კატეგორია გააჩნია. გარდა ამისა, არსებობს ჰიპოთეზა იმის შესახებაც, რომ გვიან მშობიარე დედები დღეგრძელობის გენს თავიანთი დედებისგან მემკვიდრეობით იღებენ.

კატების „ბავშვური“ ჩვევა

ადამიანის მიერ მოთვინიერებულ თითქმის ყველა ცხოველს, მოზრდილ ასაკში... პატარაობისდროინდელი ქცევის ელემენტები უნარჩუნდება. ამიტომაცაა, რომ დასაძინებლად ადგილს კატები ხშირად პატრონის გვერდით, ანდა, სულაც, მის ხელებსა ან მუხლებზე პოულობენ, რისი მიზეზიც თანამოძმესთან კონტაქტია.

ბუნებაში ველური კატის კნუტებს მუდამ ერთად უყვართ ყოფნა, მათ შორის ძილიც. თუმცა კი როცა იზრდებიან, ქცევაც ეცვლებათ, რადგან კატებს მაინც ცალკე, სხვებისგან დამოუკიდებლად უყვართ ყოფნა. შინაურ კატას ეს „ბავშვური“ ყოფაქცევა ზრდასრულ ასაკშიც უნარჩუნდება, თუმცა კი ამ დროს თანამოძმის როლს ამ დროს უკვე პატრონი ასრულებს. ასეთ უშუალო მჭიდრო კონტაქტში ცხოველი თავს უფრო მშვიდად და კომფორტულად, თან უფრო თბილად გრძნობს.

კერძო ჯარების ჟამი

რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო სათათბიროში შეტანილია კანონპროექტი კერძო სამხედრო კომპანიების შექმნის შესახებ.

ადგილობრივი ექსპერტების აზრით, კერძო სამხედრო კომპანიები – საერთაშორისო ბიზნესის სერიოზული სეგმენტია, რომელსაც ორგანიზატორებისთვის კარგი შემოსავალი, ხოლო რეგისტრატორი ქვეყნისთვის მნიშვნელოვანი დივიდენდები მოაქვს. სახელმწიფოს მოგება აქ იმაში მდგომარეობს, რომ კერძო სამხედრო კომპანიების მეშვეობით შესაძლებელია საზღვარგარეთ დელიკატური პოლიტიკური საკითხების გადაჭრა საკუთარი ძალოვანი სტრუქტურების გარეშე, რადგან ამას, შესაძლოა, საერთაშორისო სკანდალი მოყვეს. კერძო სამხედრო კომპანიების თანამშრომლები კი სახელმწიფოს დაქვემდებარებაში არ არიან, ამდენად, რომ იტყვიან, მათ ხელ-ფეხიც გახსნილი აქვთ!

ამასთან, მნიშვნელოვანია ისიც, რომ რუსეთი აფრიკის, ლათინური ამერიკისა და აზიის მრავალ ქვეყანაში ნავთობს, ბუნებრივ გაზსა და ალუმინს მოიპოვებს, რომელთა საბადოებს იქაური ადგილობრივი კერძო სამხედრო კომპანიები იცავენ, არადა საკუთარი ძალოვანი სტრუქტურის გამოყენება, ცხადია, უკეთესი იქნება. მაგალითისთვის შეიძლება იმის თქმა, რომ საუდის არაბეთში ნავთობისა და გაზსადენების დასაცავად ჩინეთს კერძო სამხედრო კომპანიების 40 ათასი თანამშრომელი ჰყავს (!), რომელიც ყველა ტიპის თანამედროვე სასროლი იარაღითაა აღჭურვილი.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ძობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად წაიკითხე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.4370; ევრო - 2.6671;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.1586;
100 რუბლი - 4.1831; თურქული ლირა - 0.6869;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4528;
1000 სომხური დრამი - 5.0351.

ამინდი 11 მაისისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +10 დღე +23
მთიანი რაიონები - ღამე +4, დღე +18
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +10, დღე +18
მთიანი რაიონები - ღამე +7, დღე +17
თბილისი: ღამე +13, დღე +20

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge